აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№23 (25.201) 20 ივნისი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 25-30, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

სულხან თამაზაშვილი: 2025 წელს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა რეალობაა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი მთავრობის 2024-2025 წლების საქმიანობის ანგარიშით წარსდგა უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა

მომხსენებელმა, პირველ რიგში, მთავრობის სტრატეგიულ ამოცანებსა და პრიორიტეტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, რეგიონისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება და ამ მხრივ, მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა. მისი განცხადებით, რეგიონში ოთხივე სეზონის გააქტიურება მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგიაა, ტურიზმის მზარდი დინამიკაა, რაც შესაბამისი სტატისტიკით დასტურდება, მზარდი შემოსავლებია რეგიონისა და მისი მოსახლეობისთვის.

მთავრობის თავმჯდომარემ ინფორმაცია წარმოადგინა ტურიზმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საგანმანათლებლო, სპორტული, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების მიმდინარეობაზე. მისი განცხადებით, ძალზე მნიშვნელოვანია „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის მეორე ეტაპი, რომლის დასრულების შემდეგ, 1077 ოჯახი ახალ, კეთილმოწყობილ ბინაში გააგრძელებს ცხოვრებას.

სულხან თამაზაშვილის თქმით, 2025 წელს, აჭარაში დაგეგმილია 98 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია, რომელიც 42 მიმართულებას მოიცავს. წელსვე, აჭარაში აშენდება 30 ახალი საჯარო სკოლა, მოხდება 70 სკოლის სრული რეაბილიტაცია.

თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რეგიონში წელს 350-ზე მეტი კულტურული ღონისძიება ჩატარდება, რომელშიც 4000-ზე მეტი ადამიანი იქნება ჩართული. წელსაც შეუფერხებლად გრძელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები, იზრდება ბენეფიციართა რაოდენობაც. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024-2025 წლებში, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების პროგრამებით გათვალისწინებული სერვისებით 90 946-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. 2025 წლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 19.2 მილიონი ლარითაა გაზრდილი და 80.5 მილიონი ლარია.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის უმნიშვნელოვანესია სახნავ-სათესი მიწების უსასყიდლოდ დამუშავების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, აჭარაში 2 438 ჰექტარი დამუშავდა. გრძელდება ციტრუსის რეალიზაციისა და ექსპორტის ხელშემწყობი და სხვა მნიშვნელოვანი პროგრამებიც. 2024 წელს ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, 4 მილიონ ლარამდე სუბსიდია გაიცა და ექსპორტზე გავიდა 19 მილიონი დოლარის პროდუქცია. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კუროორტ „გოდერძიზე“ მიმდინარე საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, დამატებით 1500 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტით კი, ბუნებრივი აირით აჭარის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები 27 100 აბონენტი იქნება უზრუნველყოფილი.

სულხან თამაზაშვილის განცხადებით, მშვიდობისა და სტაბილურობის პირობებში, 2025 წელს, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა რეალობაა და ხელისუფლება ორიენტირებულია მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაზე. პირველი კვარტალის მონაცემებით, აჭარაში ბიზნესსექტორის ბრუნვის მაჩვენებელმა 2,8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 21%-ით აღემატება. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ, მიმდინარე პროგრამებსა და სიახლეებზე საუბრის შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა უმაღლესი საბჭოს წევრთა კითხვებს, მოისმინა მათი გამოსვლები და შეფასებები. კანონმდებლებმა წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიიღეს.

ირმა ცეცხლაძე

აღდგენილი ორმხრივი მოძრაობა და ბინა – 6-სულიან ოჯახს

პოლიტიკური განცხადებებით დაიწყო დღეს ბათუმის საკრებულოს მორიგი სხდომა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე ოპოზიციამ პოლიტპატიმრებზე, რეპრესიებზე ისაუბრა და ბულვარში არსებული პრობლემები, ასევე, ქალაქის განაშენიანების გეგმის არარსებობა გააპროტესტა. ჩვეული პაექრობის შემდეგ სხდომა სამუშაო რეჟიმში გაგრძელდა

მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსმა ემზარ ქავჟარაძემ დეპუტატებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის დაწესებული სიახლეები გააცნო. კერძოდ, საკრებულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ საავტომობილო გზაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის დადგენილებაში. ცვლილების მიხედვით, მიმდინარე წლის დასაწყისში ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთზე, გრიბოედოვის ქუჩიდან 26 მაისის ქუჩის კვეთამდე და გრიბოედოვის ქუჩის მონაკვეთზე, გორგილაძის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩის კვეთამდე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის დაწესებული საცდელი ორმხრივი მოძრაობა შენარჩუნდება, ვინაიდან საცდელ პერიოდში ქუჩების აღნიშნულმა მონაკვეთებმა უზრუნველყვეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაკადების გატარება. საკრებულომ, ასევე დაამტკიცა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე - ანგისის ქუჩის I შესახვევში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ საკრებულოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე და საცობის თავიდან აცილების მიზნით, ანგისის ქუჩის I შესახვევში, ანგისის ქუჩის გადასახვევიდან გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩამდე მონაკვეთში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ცალმხრივი მოძრაობა დაწესდება.

დეპუტატებმა დღეს, ქალაქის ორ ლოკაციაზე, სევერიანე აჭარელის ქ. №1-სა და ნიკოლოზ გოგოლის ქ. №11-ში ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხსაც დაუჭირეს მხარი.

საკრებულომ, ქალაქ ბათუმში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ქუჩა №1-სა და №3-ში მდებარე ავარიული სახლის ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული უძრავი ქონებების ავარიული საცხოვრებლის მესაკუთრეებისათვის გადაცემისა და გაზრდილი ფართობის, რომელიც იზოლირებულია და შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის საკითხიც განიხილა, რომელიც დეპუტატებს მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის უფროსმა დავით კოპნაძემ გააცნო.

დეპუტატებმა, ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №№94-96-ის მიმდებარედ, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამული ღონისძიების (ქალაქმშენებლობითი ღონისძიების გეგმის) შესაბამისად გადასაცემი ბინებისთვის არსებული დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებასაც დაუჭირეს მხარი.

იხ. გვ-5 ვვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რევოლუციური მოწოდებები და ჩორჩანის სკანდალის გამოძახილი

საქართველოში უწყვეტი პროტესტია. საზოგადოების ნაწილი კვლავ მთავრობის გადადგომას, ახალი არჩევნების ჩატარებასა და აქციაზე დაკავებული პირების გათავისუფლებას მოითხოვს, თუმცა პროტესტის მე-200 დღეს ამ მოწოდებებს რევოლუციისკენ მოწოდებაც დაემატა. მიმდინარე კვირის დასაწყისში გარკვეულმა ჯგუფმა ჩირაღდნებით, ნიღბებითა და რევოლუციური მოწოდებებით აქცია-მსვლელობა გამართა კანცელარიიდან საქართველოს პარლამენტის შენობამდე

საპროტესტო აქციაზე გაჟღერებული რევოლუციური მოწოდებები ოპოზიციურ სპექტრშიც განხილვის თემად იქცა. ნაწილს მიაჩნია, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია მიუღებელია და ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა ახალი არჩევნებია.

„მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი რადიკალური პროცესის განვითარება, მათ შორის, რევოლუცია არის მხოლოდ და მხოლოდ ამ ქვეყნის საზიანო“, - ამბობს პარტიის „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ბექა ლილუაშვილი.

ნაწილი მიიჩნევს, რომ მსგავსი მოწოდებები გამოხატვის თავისუფლებაა.

„რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“. კონსტიტუცია აძლევს უფლებას ყველა ადამიანს, რომ მშვიდობიანი რევოლუციით გაისტუმროს ესენი. არაფერი რადიკალიზაცია არ არის პროცესების, ერთადერთი მოძალადე ამ ქვეყანაში არის „ქართული ოცნება“, - აცხადებს პარტია „დროას“ დამფუძნებელი, „კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ელენე ხოშტარია.

მმართველ გუნდში კი რადიკალურ სცენარზე საუბრობენ და საზოგადოებას აფრთხილებენ, რომ ყველა, ვინც ეცდება კანონის დარღვევას, სათანადოდ დაისჯება.

„ყველამ ვნახეთ მაქსიმალური ესკალაციის მცდელობა თვეების განმავლობაში როგორც წინასაარჩევნოდ, ასევე არჩევნების შემდეგ. ვხედავთ იმ გათითოკაცებულ პარტაქტივს, რომელიც, პირველ რიგში, ქუჩაშივე ერთმანეთის ბულინგით და შეურაცხყოფით არის დაკავებული და ვხედავთ იმ შემცირებული ფულადი სახსრების შედეგს, რასაც იმკიან. თუ ვინმე კანონს დაარღვევს, კანონის წინაშე სრული პასუხისმგებლობით და მაქსიმალური სიმკაცრით აგებს პასუხს“, - აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი კირცხალია.

მიმდინარე კვირაში საქართველოს პროკურატურაში განხილვის თემა იყო ე.წ. ჩორჩანის ეპიზოდი. ჩორჩანის საგუშაგოს საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ გიორგი გახარიას შეკითხვები პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე დაუსვეს.

ცნობისთვის, 2019 წლის აგვისტოში სოფელ ჩორჩანასთან ქართული პოლიციის საგუშაგო გაიხსნა, რის შემდეგაც მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო ძალების გადმოსვლის შესახებ იუწყებოდა.

მალევე, ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ძალებმა საოკუპაციო ხაზი გადმოკვეთეს და სოფელ ჩორჩანის მიმდებარე ტერიტორიაზე ბორდერიზაციის სხვადასხვა ნიშნები განათავსეს. ვითარება განიმუხტა, მაგრამ 2019 წლის აგვისტოს შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა მილიონი კვადრატული მეტრი ტყითა და საძოვრებით ვეღარ სარგებლობს. აღნიშნულ დანაკარგზე დღეს მმართველ გუნდთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც საუბრობს.

„ჩორჩანასთან საგუშაგოს ჩადგმამ ჩვენი მოსახლეობა ძალიან დააზარალა. ჩვენს და ოსურ დასახლებას შორის გადიოდა მდინარე, რომლის ზემოთ იყო სოფლის ტყე. საგუშაგოს ჩადგმამდე იმ ტყით ვსარგებლობდით, ჩავდიოდით მდინარემდე, ხმას არავინ გვცემდა. საგუშაგოს ჩადგმის შემდეგ რუსები ამოვიდნენ, 1,5 კილომეტრით ზემოთ ამოიწიეს და დაარჭვეს თავიანთი დროშები, ახლა პოსტიც აქვთ ჩადგმული, საგუშაგო. 120 ჰექტარი ტყე, ჩვენი სოფლის საკლმეურნეო ტყე დავკარგეთ. ეს იყო იმ საგუშაგოს ჩადგმის შემდეგ“, - განუცხადა ჟურნალისტებს ჩორჩანის მკვიდრმა არჩილ ლომიძემ პროკურატურაში გამოკითხვის შემდეგ.

საკითხზე 16 ივნისს გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზე ალექსანდრე ტაბატაძე და კახა კახიშვილი იმყოფებოდნენ. ალექსანდრე ტაბატაძე ჩორჩანის ეპიზოდის დროს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციას იკავებდა, ხოლო კახა კახიშვილი - მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის.

ალექსანდრე ტაბატაძის თქმით, გიორგი გახარიას მიერ მიღებული გადაწყვეტილება უსაფრთხოების სამსახურთან და საერთაშორისო მისიებთან შეთანხმებული არ ყოფილა და მან თვითნებურად მიიღო გადაწყვეტილება.

ჩორჩანის ეპიზოდს აქტიურად სწავლობს პარლამენტის საგამოძიებო კომისია, სადაც გიორგი გახარია 23 ივნისს კიდევ ერთხელ არის დაბარებული, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, მივა თუ არა იგი სხდომაზე.

გიორგი გახარიას პარტიაში ამბობენ, რომ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე პარტიის ლიდერის დაბარება მმართველი გუნდის მხრიდან პოლიტიკური შურისძიებაა. მათ ასევე მიაჩნიათ, რომ თავის დროზე ჩორჩანაში გახარიას ქმედებით „ქართული ოცნება“ ამაყობდა კიდეც.

„და რა მოხდა ჩორჩანაში? საქმე ეხება საგუშაგოს განთავსებას ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მაშინ სახელმწიფომ აბსოლუტურად მშვიდობიანად, ოღონდ პრინციპულად, დაიცვა საკუთარი ფუნდამენტური ინტერესები, რასაც არ მოჰყოლია ესკალაცია. აი, ასე, უბრალოდ, სახელმწიფომ გაატარა საკუთარი სუვერენული ინტერესი. ხაზგასმით ვამბობ, სრულიად მშვიდობიანად. ამ ქეისით ამაყობდა კიდეც „ოცნების“ მაშინდელი დეპუტაცია დაწყებული ირაკლი კობახიძით და გაგრძელებული მინისტრთა კაბინეტით. მაშინ პარტიის თავმჯდომარე იყო ბიძინა ივანიშვილი და რამდენიმე თვეში სწორედ მისი წარდგინებით დაინიშნა გახარია პრემიერ-მინისტრად, დღეს კი ამ გაუგონარი და სრულიად აბსურდული ბრალდებით ცდილობენ გახარიას პოლიტიკურ იზოლაციასა და განეიტრალებას“, - გვითხრა პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის წევრმა არჩილ სამნიძემ.

გიორგი გახარია დაიცვეს ოპოზიციურ სპექტრში. მასთან დაკავშირებულ მიმდინარე გამოძიებას პოლიტიკურ დევნას უწოდებენ კოალიციაში „ლელო - ძლიერი საქართველო“.

„ჩორჩანის შესახებ გამოძიება, ცალსახად და ყოველგვარი მეორე მოსაზრების გარეშე, პოლიტიკური დევნის მიზანს ემსახურება. ჰოი, საოცრებავ, რატომ დადგეს გახარიას მინისტრობის დროს საგუშაგო ჩორჩანაში? - ამ თემის გამო გახარიას გამოეკიდონ, ამას, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სარჩული აქვს, თორემ, ვინმეს რეალურად რომ ადარდებდეს რაიმე სამართლებრივი მოკვლევა ამ თემასთან დაკავშირებით ან ამ ყველაფერში მართლა რაიმე ბრალეულობა არსებობდეს გიორგი გახარიას ისეთი, ეგეთ კაცს, ალბათ, შემდეგ პრემიერ-მინისტრად არ დააწინაურებდნენ“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში „ლელო - ძლიერი საქართველოს“ წევრმა თაზო დათუნაშვილმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელეს თავად გახარიას პარტიაში.

„გახარიას ხელმძღვანელობით ჩორჩანაში საგუშაგოს ჩადგმის შედეგად არ დაგვიკარგავს არც ერთი გოჯი მიწა - პირიქით, დავიცავით, ჯამში, 17.5 მილიონი კვადრატული მეტრი ტერიტორია!“, - ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

მმართველ პარტიაში მიაჩნიათ, რომ გიორგი გახარიამ პასუხი უნდა გასცეს, მინიმუმ, ორ შეკითხვას: რატომ არ შეათანხმა საგუშაგოს გახსნა საკუთარ გუნდთან და რატომ ამტკიცებს, რომ საოკუპაციო ხაზი არ გადმოწეულა.

„რა მიზნებით მოქმედებდა მაშინ გახარია, როდესაც აშკარა იყო, რომ ასეთ პროვოკაციულ ნაბიჯებს მოჰყვებოდა კონტრნაბიჯები. მან მიიღო ის კონტრნაბიჯი, რაც ძალიან ადვილად გამოსაცნობი იყო. როგორც ახლა ირკვევა, ამაზე აფრთხილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში გამოკითხვის დროს გახარიამ თავადაც დაადასტურა, რომ სუს-თან არ იყო შეთანხმებული. მან თქვა, რომ სუს-ს და სხვა სტრუქტურებს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ, მიუხედავად ამისა, მან ეს გადაწყვეტილება მიიღო. მან ტერიტორიები არ დათმო კიარადა, მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ტერიტორია დღეს არ არის ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ“, - განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

პრემიერ ირაკლი კობახიძეს ჩორჩანაში განხორციელებულმა ქმედებამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი გაახსენა.

„საერთოდ არავინ არ ჩააყენა საქმის კურსში. ეს თავისთავად აჩენს ეჭვებს. თუ რაღაც ისეთი, პრობლემური ხდებოდა, რატომ არ ჩააყენა არავინ საქმის კურსში, არც პრემიერ-მინისტრი, არც სუს-ის უფროსი, არც დაზვერვის ხელმძღვანელი? არც სხვა შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი. არცერთი ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი, არც ევროკავშირის მონიტორინგის მისია არ იყო ამასთან დაკავშირებით საქმის კურსში. ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაც უცნაურს აკეთებდა, რბილად რომ ვთქვათ, ბატონი გიორგი გახარია. ეს არის ძალიან მარტივი ლოგიკური დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ ამ ყველაფრიდან. რეალურად, ჩორჩანაში რაც მოხდა, ეს იყო იმის მინიმოდელი, რაც მანამდე მოხდა, 2008 წელს, როდესაც სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო ომი. თქვენ იცით, რა შედეგები მოჰყვა ამას ჩვენი ქვეყნისთვის. გადაიდგა არასწორი ნაბიჯი, რასაც მოჰყვა მილიონი კვადრატული მეტრი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დამატებითი ოკუპაცია. ეს არის განსახილველი“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ალექსანდრე ტაბატაძესთან და კახა კახიშვილთან ერთად, პროკურატურაში უკვე გამოკითხეს ვახტანგ გომელაური, რომელიც 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით იკავებდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობას და, ასევე, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი მაია ცქიტიშვილი.

ვინ არის მართალი, მმართველი გუნდი თუ გიორგი გახარია, ამაზე მკაფიო პასუხი საზოგადოებაში ჯერ არ არსებობს - ორივე მხარეს საკუთარი სიმართლე აქვს.

თამარ ლამპარაძე

საგაზაფხულო სესია დაიხურა

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში პლენარული სხდომა გაიმართა, რომლითაც 2025 წლის საგაზაფხულო სესია დასრულდა

2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშით სხდომაზე წარსდგნენ უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები ფრიდონ ფუტკარაძე და მამუკა თურმანიძე.

- დღევანდელ სხდომაზე აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2024 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარვადგინე. კოლეგებს მოვახსენე კომიტეტის საქმიანობის მიმართულებებზე, ფუნქციებზე, ამოცანებზე. კომიტეტის სხდომის შემდეგ შეფასდა გასული წლის საქმიანობა და გაკეთდა საოქმო ჩანაწერები. კომიტეტის მთავარი პრიორიტეტი საზედამხედველო საქმიანობაა, ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა დაწესებულების მონიტორინგი, რაც კომიტეტის საქმიანობის სფეროში შემოდის, - განაცხადა აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძემ. „ვიმედოვნებ, მომავალშიც აღნიშნული კომიტეტი გააგრძელებს თავის კანონშემოქმედებით საქმიანობას და გვექნება ის შედეგები, რაც ჩვენს მოსახლეობას კეთილდღეობას მოუტანს“, - აღნიშნა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მამუკა თურმანიძემ.

საგაზაფხულო სესია და აღნიშნულ დროში გაწეული საქმიანობა შეაფასა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო სესია იხურება ივნისის მესამე ხუთშაბათს, შესაბამისად, დღეს მორიგი სხდომით დაიხურა. მოვისმინეთ უმაღლესი საბჭოს ორი კომიტეტის ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2024 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენებებს. ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ აქტიური საგაზაფხულო სესია გვქონდა, „მინისტრის საათის“ ფორმატში მოვისმინეთ ხუთი მინისტრის მოხსენება, ასევე, გუშინ გვქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში. გარდა ამისა, ჩატარდა რამდენიმე რიგგარეშე სხდომაც. უკვე დღეიდან, სექტემბრის პირველ სამშაბათამდე, უმაღლესი საბჭო იმუშავებს მხოლოდ რიგგარეშე სესიების ფორმატში, - აღნიშნა დავით გაბაიძემ.

ნანა აბულაძე

მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ჯინჭარაძეს თანამდებობაზე დამტკიცება მიულოცა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახლად არჩეულ მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ჯინჭარაძეს შეხვდა

სულხან თამაზაშვილმა გიორგი ჯინჭარაძეს თანამდებობაზე დამტკიცება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები და დევნილთა მხარდაჭერის საკითხები განიხილეს.

მამუკა არეშიძე: რადიაციის ფონის ზრდასთან ერთად, ლტოლვილების უზარმაზარი ნაკადის შემოსვლაა მოსალოდნელი

ქართული პოლიტიკური სპექტრი ისევ ფორიაქობს. ამჟერად საქმე ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას. „ქართული ოცნება“ უკვე ემზადება წინასაარჩევნო კამპანიისთვის, ოპოზიცია კი დაბნეულია - გრძელდება პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობისთვის გირაოშეფარდებული ლიდერების დაპატიმრების პროცესი თანხის გადაუხდელობის გამო. პრინციპში, ზოგიერთი მათგანი სულაც საკუთარი ფეხით მიდის საპატიმროში, რითაც რეიტინგის ამაღლებას ცდილობს. ევროპარლამენტიც, ადრე რომ არალეგიტიმურს უწოდებდა საქართველოს მთავრობას, ახლა ოპოზიციას მოუწოდებს, არ გამოტოვოს კენჭისყრა...

ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობასა და ისრაელ-ირანის კონფლიქტზე საუბრობს „აჭარასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, პოლიტოლოგი ***მამუკა არეშიძე,*** *რომელიც თვლის, რომ შესაძლოა, სულ მალე ირანელ ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი მოადგეს საქართველოს.*

- ბატონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, ევროპარლამენტის მოწოდების შემდეგ, ოპოზიცია მიიღებს თუ არა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში?

- ნაწილი ალბათ მიიღებს, ნაწილი - არა. ეს პროცესი უკვე ზედაპირზე დევს და კარგად ჩანს. ორმა პარტიამ გამოაცხადა მზაობა, სწორედ იმათ, საპარლამენტო არჩევნებში რომ მოიპოვეს რამდენიმე ადგილი. ასევე, არ არის გამორიცხული, ამ მარათონში ჩაერთონ წვრილ-წვრილი პარტიებიც, რომელთაც შედარებით დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ. მაგალითად, იგივე „გირჩი“ და სხვა.

- „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ როგორც აცხადებს, არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას.

- პრინციპში „ნაციონალური მოძრაობა“ ორიენტირებულია მხოლოდ გამარჯვებაზე, ანუ აუცილებლად თავად უნდა გავიდეს პირველ ადგილზე. მეორე-მესამე „საპრიზო“ ადგილები მათთვის მიუღებელია, აღარც განიხილება. პირდაპირ მართვის სადავეებთან აპირებენ მისვლას, რაც ჩადებული აქვთ პარტიის იდეოლოგიაში.

- თუკი გამარჯვების შანსი აღარ მიეცემათ?

- მაშინ ალბათ მუდმივი საბოტაჟის რეჟიმში ყოფნას გააგრძელებენ. როგორც ჩანს, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, თან მიზნად აქვთ, რაც შეიძლება მეტი სხვა ოპოზიციური პარტია ჩაითრიონ.

- ის „სხვები“ განსხვავებულად ფიქრობენ?

- კი, სხვები ფიქრობენ, რომ ამ არჩევნებში რაღაც შედეგის დადებით, დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ დაამარცხებენ „ქართულ ოცნებას“, ანუ არჩევნებში მონაწილეობით ბევრად მეტ რეიტინგს მოიპოვებენ და უკეთესი პერსპექტივა ექნებათ, ვიდრე მუდმივად ბოიკოტში ყოფნით.

- ევროპარლამენტი, რომელიც არალეგიტიმურად მიიჩნევს ახლანდელ მთავრობას, რატომ მოუწოდებს ოპოზიციას არჩევნებში მონაწილეობისკენ, რატომ არის დარწმუნებული, რომ არ გაყალბდება ეს არჩევნები, როგორც საპარლამენტოს შემთხვევაში ამტკიცებს?

- დავიწყოთ იმით, რომ დასავლური დემოკრატიისთვის მიუღებელია არჩევნების ბოიკოტირება, ამიტომაც მოუწოდეს საქართველოს ოპოზიციას, მიიღონ მასში მონაწილეობა. რაც შეეხება ლეგიტიმაციას, ეს უფრო ტრიბუნის თემაა, ვიდრე იურიდიული გადაწყვეტილება, ანუ დღევანდელი მთავრობის არალეგიტიმურობა უფრო ტრიბუნიდან ჟღერს, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით კი არალეგიტიმურობას ვერ ამტკიცებენ. აქედან გამომდინარე, დღეს ევროპულ სტრუქტურებსა და საქართველოს მთავრობას შორის ჩვეულებრივი ურთიერთობებია და არანაირად არ იზღუდება სხვადასხვა სავაჭრო, ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირები. ყველაფერი ისევე მუშაობს, როგორც მანამდე. თუ ატყობთ, ევროპელი პარლამენტარები და პოლიტიკოსები ლაპარაკობენ სხვადასხვა არხით, ოფიციოზი არც ახსენებს საქართველოს მთავრობის არალეგიტიმურობას, ანუ არ არის საუბარი არჩევნების გაყალბებაზე, ლაპარაკია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია, აღებული კურსი. ეს ძალიან კარგად ჩანს ევროპის საკვანძო ფიგურების გამოსვლებში.

- ზურა ჯაფარიძე, ნიკა მელია და ნიკა გვარამია დაპატიმრებული არიან. გვარამია საკუთარი ფეხით მივიდა საპატიმროში, არადა, გირაოს გადახდით შეეძლო გათავისუფლება. რა კომენტარს გააკეთებთ ამ სიტუაციაზე?

- პოლიტიკური ფიგურისთვის, თუ სურს მზარდი პოპულარობა, აუცილებელია კატეგორიული ნაბიჯების გადადგმა. ეს აპრობირებული მეთოდია მსოფლიო პოლიტიკაში - გარკვეული „მსხვერპლშეწირვა“ საკუთარი იმიჯის გასამყარებლად. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის მონათესავე პარტიებში შესანიშნავად იციან, რომ დაკარგეს მხარდამჭერები, დაეცა რეიტინგიც. მათ მოსაბრუნებლად საჭიროა რაღაც ხელჩასაჭიდი ფაქტი. გვარამიას შემთხვევაში, ეს აბსოლუტურად გასაგები ნაბიჯი იყო, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან - არა. მაგალითად, მე არ მივცემდი გვარამიას წამებულის როლის გათამაშების საშუალებას, მით უმეტეს, რომ არავითარ წამებაზე აქ საუბარი არ არის. ყველამ იცის, რა განსხვავებაა დღევანდელ პენიტენციურ სისტემასა და სააკაშვილისეულს შორის. მეეჭვება, მაშინ გადაედგათ ანალოგიური ნაბიჯი. სამივე - გვარამია, ჯაფარიძე და მელია სააკაშვილის გუნდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით - გვარამია, რომელიც ცენტრალური ფიგურა და წამყვანი ნარატივის შემქმნელი იყო. ამიტომ ჩვენ, ვინც კარგად ვიცნობდით მაშინდელ ციხეებს, დიდად არ შევწუხებულვართ ამათი ამჟამინდელ ციხეში ყოფნით, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც ემოციურ დონეზე აღარ ახსოვთ მაშინდელი ამბები, გადაფარა დრომ და განწყობებმა. მათთვის, რასაკვირველია, გვარამიას „თავგანწირვა“ ჩაითვალა რეალურ მსხვერპლშეწირვად.

- ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ყველაზე მეტად ეშინია ოპოზიციის კონსოლიდირებისა თბილისის მოსაგებად...

- იცით, რაშია საქმე? თბილისის მერობაზე კენჭისყრის დროს უმთავრესი პიროობაა, თუ ვინ იქნება კანდიდატი. რაც უნდა კონსოლიდირებული იყოს, გინდა ოპოზიცია და გინდა - პოზიცია, თუკი სათანადო პიროვნება ვერ შეირჩევა მერობის კანდიდატად, ძალიან გაუჭირდება გამარჯვება.

- თბილისს არაერთი მერი ახსოვს, რომელიც არაფერს წარმოადგენდა...

- იმ პერიოდებში მმართველი პარტიების მდგომარეობა იყო ხელშეუხებელი, ხოლო ავტორიტეტი - შეურყეველი. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. ახლა აუცილებელია ქარიზმატული კანდიდატის შერჩევა. მსგავსს ოპოზიციაში ვერ ვხედავ და, აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ არაფერი გამოუვათ იმის მიუხედავად, გაერთიანდებიან თუ არა... პრინციპში, არც მათი შეთანხმების მჯერა.

- ახლა პრესაში წერენ, რომ გახარიას დაჭერას აპირებს „ქართული ოცნება“. კერძოდ, რომ „მისი ეშინიათ... ოპოზიციის უკვე მეოთხე ლიდერი წავა ციხეში, რაც მკვეთრად

- ტრამპის და მილიარდერ ბიზნესმენ მასკის დაპირისპირებამ აშშ-ის პრეზიდენტის იმპიჩმენტის თემა წამოჭრა. თუკი ტრამპი ჩამოცილდება პოლიტიკას, რა ზეგავლენას იქონიებს ეს ფაქტი „ქართულ ოცნებაზე“, რომელიც წელში გაიმართა სუპერლიდერის მოლოცვის შემდეგ?

- ტრამპის და მასკის დაპირისპირება ჩემთვის არის ახლობელი ადამიანების, ოჯახის წევრების ჩხუბის, კამათის მსგავსი პროცესი. არ ვთვლი, რომ ეს ორი ფიგურა ერთმანეთის იდეოლოგიური მტერი გახდება. მასკმა სერიოზული შეცდომები დაუშვა, რადგან ქვეყნის მართვა ერთია, ხოლო ბიზნესსტრუქტურების - აბსოლუტურად სხვა. მასკის დაუფიქრებელი ნაბიჯების გამო თეთრი სახლი არაერთხელ აღმოჩნდა პრობლემების წინაშე. ამიტომაც დაუპირისპირდა ტრამპი საკუთარ პროტეჟეს. ვფიქრობ, მალე გაირკვევა ეს უთანხმოება და უნისონში გააგრძელებენ ამერიკის მართვას, რადგან იდეოლოგიურად ბევრი რამ აკავშირებთ. რაც შეეხება საქართველოს, ტრამპის იმპიჩმენტი არ არის ასე იოლი და თავისთავად, არც ჩვენი ქვეყნის მიმართ შეიცვლება ვაშინგტონის დამოკიდებულება. მით უმეტეს, რომ იგი გამომდინარეობს ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის მიზანშეწონილობიდან. აქ ვითარება შემდეგია: შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზების, სამხრეთ კავკასიის კონტროლისთვის იბრძვის რამდენიმე მსხვილი მოთამაშე - ჩინეთი, რუსეთი, აშშ, ევროკავშირი, ასევე, რეგიონალური მოთამაშე - თურქეთი. მათ შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს. არც ერთი მათგანი არაფრის დამთმობი არ არის, ყველას უნდა თავისი წილი. აქედან გამომდინარე, შემდეგი ვარიანტებია: ერთმა გადადგას რადიკალური ნაბიჯები ყველაფრის მისაკუთრებისთვის ან, არ არის გამორიცხული, მოილაპარაკონ ერთობლივი კონტროლის გადანაწილებაზე. სხვათა შორის, ამერიკელებს, ბრიტანელებისგან განსხვავებით, ახასიათებთ მიდგომა - „აკონტროლეთ და მეც იქ ვიქნები“.

- სი ძინპინი და ტრამპი მორიგდნენ...

- აი, სწორედ ეს შუა დრეფნის თემა იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ ერთმანეთში მოილაპარაკებს ყველა მონაწილე. რუსეთი ვერ ეწინააღმდეგება ამ ამბავს იმიტომ, რომ ჩინეთია დაინტერესებული. თუ ვინმეს ხელს არ აძლევს აქ ჩინეთის დომინანტობა, ეს, პირველ რიგში, რუსეთია, მაგრამ ვინაიდან სჭირდება პეკინი საკუთარი გეოპოლიტიკური დიდი მიზნებისთვის, ვერ ეწინააღმდეგება. იმედია, მოილაპარაკებენ და სავაჭრო-ეკონომიკური ტრასების ერთობლივ კონტროლს განახორციელებენ, რაც ყველასთვის მომგებიანი იქნება, მათ შორის, საქართველოსთვისაც.

- ირანში რადიაციის გაჟონვა დადასტურდა. რა საფრთხე ელის საქართველოს და როგორ დაახასიათებთ ისრაელ-ირანის კონფლიქტის ამ ეტაპს?

- ამ კონფილქტს შეიძლება მოჰყვეს ძალიან მძიმე შედეგები რეგიონისთვის. რადიაციის ფონის ზრდასთან ერთად, ლტოლვილების უზარმაზარი ნაკადის შემოსვლაა მოსალოდნელი. 2017 წელს იქ ვიყავი და ჩემი თვალით ვნახე ევროპისკენ გადინებული სირიელების ნაკადი. მაშინ ჩართული ვიყავი ამ პროცესში. კინაღამ წალეკა ევროპა ამ ტალღამ... თავად შევესწარი, როგორ ვაჭრობდა ერდოღანი ამ ხალხის გატარება-არგატარების თემით. მაშინ თურქეთი აღმოჩნდა მათი შემაკავებელი ბარიერის როლში. ახლა ასეთიც არ გვეყოლება არავინ. თუ ისრაელ-ირანის კონფლიქტი გაგრძელდა, დარწმუნებული იყავით, რომ ჩრდილოეთ ირანის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიძრება სამხრეთ კავკასიისკენ, მათ შორის, მოგვადგებიან ჩვენც. ერთში დარწმუნებული ვარ: მასშტაბური სახმელეთო-სამხედრო ოპერაცია არ დაიწყება და გაგრძელდება ასეთი წერტილოვანი დარტყმები, მიზერული მსხვერპლით. საქმე ისაა, რომ ისრაელის დაზვერვამ იუველირულად იმუშავა საჰაერო თავდასხმის დაწყებამდე და, პრაქტიკულად, მიაღწია დიდ შედეგს - სამხედრო პოტენციალის დიდი ნაწილის განეიტრალებით დაასუსტა ირანი და მიანიშნა ირანელებს, რომ მათ ეძლევათ სახელმწიფოში რეჟიმის შეცვლის კარგი შანსი. ბოლო ორი-სამი დღეა, მაქვს პირისპირ საუბრები იმ ირანელებთან, ვისზეც მიმიწვდება ხელი და ვიცი, მომენტს ელოდებიან ანტისახელისუფლებო გამოსვლების დასაწყებად. ირანში, საპროტესტო ტალღა ბოლოს 2022 წელს აგორდა, რომელიც ძალიან დიდი მსხვერპლით დასრულდა. 1500 კაცი დაიღუპა მარტო თეირანში. ახლა ის ძალა აღარ აქვს ისლამის რევოლუციის მუშაკთა კორპუსს. ირანის თავდაცვის სამინისტრო გაემიჯნა მმართველ ძალას. თან კარგად ესმით თეირანში, რომ ისრაელის აქტივობამ გამოიწვია რყევები ირანის პერიფერიაში, სადაც ცხოვრობს არაირანელი ხალხი, რომლებიც თეირანის დასაყრდენი ვერ იქნებიან. ამიტომ თუ ირანში შეიცვლება ხელისუფლება (შანსი 50/50-ზეა), არა მგონია, დიდი საფრთხე შეექმნას რეგიონს ლტოლვილების კუთხით. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ირანის მოსახლეობის განწყობაზე ყოფილი შაჰის მემკვიდრის გამოჩენამ, ანუ გაჩნდა ლიდერის ხატება, რომელიც მანამდე არ ჰყავდა წინააღმდეგობის მოძრაობას. შეგახსენებთ, რომ ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი 1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად დაამხეს და ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. მისი უფროსი ვაჟი რეზა, რომელიც ადრე მემკვიდრე პრინცის ტიტულს ატარებდა, ახლა ცხოვრობს აშშ-ში და ღიად აკრიტიკებს ისლამური რესპუბლიკის მთავრობას, თავის თავს კი დემოკრატიული და სეკულარული ირანის მომხრეს უწოდებს. სამხედრო კონფლიქტის ფონზე, ირანის უკანასკნელ შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის შვილიშვილ იმან ფეჰლევის ქორწინებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ის ბრედლი შერმანზე - ებრაული წარმოშობის ამერიკელ ბიზნესმენზე დაქორწინდა, რომელიც Matternet კომპანიის, დრონების კომერციული მწარმოებლის პარტნიორობის ხელმძღვანელია. სწორედ ამ დინასტიის ირანის ტახტზე დაბრუნებაა აშშ-ის და ისრაელის სათადარიგო გეგმა.

> ***„მე არ მივცემდი გვარამიას წამებულის როლის გათამაშების საშუალებას, მით უმეტეს, რომ არავითარ წამებაზე აქ საუბარი არ არის. ყველამ იცის, რა განსხვავებაა დღევანდელ პენიტენციურ სისტემასა და სააკაშვილისეულს შორის. მეეჭვება, მაშინ გადაედგათ ანალოგიური ნაბიჯი. სამივე - გვარამია, ჯაფარიძე და მელია სააკაშვილის გუნდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით - გვარამია, რომელიც ცენტრალური ფიგურა და წამყვანი ნარატივის შემქმნელი იყო. ამიტომ ჩვენ, ვინც კარგად ვიცნობდით მაშინდელ ციხეებს, დიდად არ შევწუხებულვართ ამათი ამჟამინდელ ციხეში ყოფნით***

ირმა ცეცხლაძე

„ჩვენი მიზანია, მეტი ახალგაზრდა და ახალი სახე ჩაერთოს პოლიტიკაში“

ახალგაზრდები პოლიტიკურ ველზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, რადგან უფრო ღია არიან ინოვაციებისთვის, სოციალური ცვლილებებისთვის და მკაფიოდ აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებსა და სურვილებს. სწორედ ამ მოტივით იქმნება დღეს ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდული პოლიტიკური მოძრაობები, რომელთა მიზანი ქვეყნის კიდევ უფრო განვითარებაა

ცოტა ხნის წინ ბათუმში დაფუძნდა პოლიტიკური მოძრაობა „ახალგაზრდული ძალა“, რომლის გეგმებსა და მიზნებზე ორგანიზაციის თავმჯდომარე ***თედო ზოიძე*** *გვესაუბრა.*

- როდის და რა გარემოებაში ჩამოყალიბდა თქვენი მოძრაობა?

- ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა 18 მაისს დაფუძნდა, მანამდე კი, ბუნებრივია, ვემზადებოდით ამისთვის. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ გვქონდა საამისო შესაძლებლობაც და რესურსიც, დამოუკიდებლად გავაკეთეთ ოფიციალური განაცხადი დაფუძნების თაობაზე. ჩვენ ვიყავით ის ადამიანები, რომლებიც ვიდექით იმ პროცესების წინა ხაზზე, საზოგადოება, თითქმის 2 წელზე მეტია, რომ ადევნებს თვალყურს. ამიტომ გაჩნდა პრეტენზია, გვეკეთებინა ეს საქმე დამოუკიდებლად და არა რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ქოლგის ქვეშ.

- თქვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიზნებზეც გვითხარით...

- მთავარი, რის გამოც დავაფუძნეთ „ახალგაზრდული ძალა“, არის ის, რომ პოლიტიკაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა და ახალი სახე შემოვიდეს. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ველზე დღეს ყველაზე მეტად ამის ნაკლებობაა. ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნება არის შესაძლებლობა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც არ სურთ სხვა, ძველ პოლიტიკურ პარტიებთან აფილაცია. ბევრი მიზანი გვაქვს. გვინდა, ეს ქვეყანა საცხოვრებლად უკეთესი ადგილი გახდეს, დავაბრუნოთ საქართველო ევროპულ რელსებზე და შევუნარჩუნოთ უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობები. გვაქვს გრძელვადიანი პოლიტიკური მიზნები და ჩვენი თითოეული ნაბიჯი გამომდინარეობს ამ გრძელვადიანი პოლიტიკის კონტექსტიდან.

> ***„მთავარი, რის გამოც დავაფუძნეთ „ახალგაზრდული ძალა“, არის ის, რომ პოლიტიკაში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა და ახალი სახე შემოვიდეს. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ველზე დღეს ყველაზე მეტად ამის ნაკლებობაა. ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნება არის შესაძლებლობა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც არ სურთ სხვა, ძველ პოლიტიკურ პარტიებთან აფილაცია. ბევრი მიზანი გვაქვს...“***

- რა ძირითად პრობლემებს ხედავთ ბათუმში?

- ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით აკომპლექტებს გუნდს, ამასთან, აქტიურად ვმუშაობთ ბათუმში გუნდის წევრების მიღებაზე, რომ მათთან ერთად ვიმუშაოთ იმ პრობლემებზე, რომელიც ჩვენს ქალაქში მრავლადაა. აქტიურად ვადევნებთ თვალს, მათ შორის, ბათუმის საკრებულოს სხდომებს. სამწუხაროა, რომ ის ადამიანები, რომლებსაც აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობები, ვერ იაზრებენ, რა გამოწვევების წინაშეა დღეს ბათუმი და არამხოლოდ. მნიშვნელოვანია, თითოეულმა იმ ადამიანმა, რომლის პირდაპირი მოვალეობაა, იზრუნოს ამ ქალაქზე, იმუშაოს პრობლემების მოგვარებაზე და წარუდგინოს მოსახლეობას იდეები, ხედვები, ამავდროულად, ჩაებაროს მოქალაქეებს ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ, რადგან პოლიტიკოსებს გვაკისრია ანგარიშვალდებულება სწორედ საზოგადოების წინაშე. უნდა გავიაზროთ და გავითავისოთ ეს პასუხისმგებლობები. ასევე, მიმაჩნია, რომ ამ პრობლემებზე უნდა ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ და ერთად ვეძიოთ მათი გადაჭრის გზები.

- რომელი სამი პრობლემაა თქვენთვის პრიორიტეტული, რომლის მოგვარებასაც დაუყოვნებლივ შეუდგებით, როცა ამის შესაძლებლობა გექნებათ?

- ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კორუფციაა, რაც მარტივად შესამჩნევია ქალაქში გადაადგილების დროს. უკანონო მშენებლობები, ნებართვები ამახინჯებს ქალაქის იერსახეს, ესაა სწორედ კორუფციით გამოწვეული პრობლემები, რომელთა გადაჭრაზეც ერთად უნდა ვიმუშაოთ, რადგან ეს ქვეყანა ჩვენია.

- აპირებთ თუ არა ადგილობრივ ხელისუფლებასთან საუბარს?

- ხელისუფლებასთან საუბრის აუცილებლობას, ამ ეტაპზე, ვერ ვხედავთ, თუმცა, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია დიალოგი და კონსტრუქციული პოლიტიკის წარმოება. იმედი გვაქვს, რომ მალე მოგვეცემა ამის შესაძლებლობა. ვფიქრობთ, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე უნდა საუბრობდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომ ერთად შეძლონ მოქალაქეების პრობლემებზე ზრუნვა. როცა ჩვენი გუნდი წარმოდგენილი იქნება ადგილობრივ დონეზე, შესაბამის ორგანოებში ჩვენ გვექნება დიალოგი კონკრეტულ პირებთან, რადგან ეს მნიშვნელოვანია, თუმცა არა - ახლა და არა - ამ ვითარებაში. ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ ანგარიშვალდებულები ვართ საზოგადოების წინაშე და ვიმოქმედოთ მოქალაქეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

იხ. მე-9 გვ.

სიყვარული პასუხისმგებლობაა – ახალი კანონი შინაურ ცხოველებზე

საქართველოში შინაური ცხოველების პატრონებს მალე მნიშვნელოვანი ვალდებულებები დაეკისრებათ - პარლამენტში უკვე მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა, რომელიც ცხოველთა სავალდებულო რეგისტრაციასა და სტერილიზაცია/კასტრაციას ითვალისწინებს

კანონის ამოქმედების შემდეგ ყოველი ძაღლისა და კატის, რომელიც ოჯახში ცხოვრობს, ოფიციალურად დარეგისტრირება სავალდებულო გახდება, მფლობელებს მოუწევთ ცხოველის სტერილიზაციის უზრუნველყოფაც.

ხელისუფლება ამბობს, რომ ეს ნაბიჯი აუცილებელია მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შემცირებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. საზოგადოების ერთი ნაწილი ამას მიესალმება, მეორე კი ფიქრობს, რომ რეგულაცია ზედმეტად მკაცრი და პატრონებისთვის დამატებითი ფინანსური ტვირთია.

ამ საკითხზე ვესაუბრეთ ***ნიკა ბერიძეს,*** *რომელსაც ჰასკის ჯიშის ძაღლი უკვე 4 წელია, ჰყავს.*

- ნიკა, რას ფიქრობთ შინაური ცხოველების რეგისტრაციის აუცილებლობაზე?

- რეგისტრაცია ლოგიკურია. ეს ხელს შეუშლის შინაური ცხოველის ქუჩაში მოხვედრის რისკებს. დღეს ქვეყანაში მიკედლებული ან უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების რაოდენობა 300-350 ათასს აღწევს. ამ კანონის მიღების შემდეგ ყველა პატრონი იდენტიფიცირებული იქნება და სხვა ვალდებულებებიც დაეკისრება.

- ნახევარი წლის შემდეგ ახალდაბადებული შინაური ცხოველის კასტრაცია/სტერილიზაცია სავალდებულო ხდება. როგორ შეაფასებთ ამას?

- მგონი, ეფექტური სტრატეგიაა. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს ღონისძიება ფინანსურად ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისთვის. სავალდებულო ინტერვენცია უფასოა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, ზოგჯერ კი პასუხისმგებლობა რჩება მოქალაქეს, რომელმაც შესაძლოა იმ მომენტისთვის ეს ვალდებულება ვერ შეასრულოს და ამისთვის ჯარიმა დაწესდება.

- კანონპროექტში სხვა შეზღუდვებიცაა - 2025 წლის 1 ივლისიდან, რეგისტრაციის შემდეგ, მრავალბინიან საცხოვრებლებში სამ ცხოველზე მეტის ყოლა იკრძალება...

- შინაური ცხოველების რეგისტრაცია მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ სამ ცხოველზე მეტი ვისაც აქამდე ჰყავდა, იმათ რა ბედი ეწევათ, ესაა საკითხავი. სანქციების ამოქმედების შემდეგ კანონის შეუსრულებლობის შემთხვევაში ალბათ ფინანსურ ჯარიმას დააკისრებენ.

- როგორც ვიცით, რისკჯგუფების ჯიშის ძაღლების კონტროლიც გამკაცრდება - პიტბულების, მასტიფის, ქართული ნაგაზის...

- საფრთხის შემცველი ჯიშიანი ძაღლების მკაცრმა კონტროლმა შესაძლოა საზოგადოების უსაფრთხოებაზე დადებითად იმოქმედოს, თუმცა აქაც სხვა მიდგომებია საჭირო. პატრონს უნდა დაევალოს, შინაური ცხოველი ატაროს სპეციალისტთან, ასწავლოს საზოგადოებასთან კომუნიკაცია, აგრესიის მართვა და ასე შემდეგ. ამ ჯიშების ყოლის სრულად აკრძალვა დაუშვებელია.

- კიდევ რა არის ამ ახალ კანონპროექტში ისეთი, რაც თქვენ ან სხვა პატრონებს გაწუხებთ?

- შინაური ცხოველების პატრონების უმეტესობა მას მხარს უჭერს, მაგრამ მიიჩნიათ, რომ თუ მათ ვალდებულებაში შედის, ძაღლს ჩაუდგან მიკროჩიპი, გაუკეთონ აცრა და, საჭიროების შემთხვევაში - სტერილიზაცია ან კასტრაცია, ეს მომსახურება მათთვის უნდა იყოს უფასო. დამატებითი ხარჯების გაღება, განსაკუთრებით - სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, მიუღებელია.

საინტერესოა, ზოგ შემთხვევაში კასტრაცია საზიანო ხომ არ არის შინაური ცხოველების ჯანმრთელობისთვის? ვეტერინარების აზრით, პატრონმა არ უნდა შეხედოს კასტრაციას როგორც ცხოველზე ძალადობას. თუ სწორად გაკეთდება, ეს ჰუმანური, სამედიცინო და გრძელვადიანად სასარგებლო გადაწყვეტილებაა. ისინი მიიჩნევენ, რომ კასტრაცია, როცა სწორ ასაკში კეთდება პროფესიონალ ვეტერინართან და შესაბამისი მოვლით, არ წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის საფრთხეს, პირიქით - ხშირად იცავს ცხოველს მძიმე დაავადებებისგან, როგორებიცაა სიმსივნე, საშვილოსნოს ანთება ან პროსტატის დარღვევები, თუმცა, როგორც ყველა ქირურგიულ პროცედურას, რისკები მასაც ახლავს. მაგალითად, ანესთეზიის აუტანლობა ან წონაში მომატება, მაგრამ სპეციალისტების თქმით, ეს მართვადია. მთავარია, პატრონმა იცოდეს, რომ ოპერაციის შემდეგ მის შინაურ ცხოველს სწორი კვება და მოძრაობა სჭირდება.

შინაურ ბინადარ ცხოველთა საქართველოს კანონის პროექტი საპარლამენტო სესიაზე პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძემ უკვე წარადგინა.

კანონპროექტი თავისი შინაარსით რამდენიმე ძირითადი მიმართულებისგან შედგება. მთავარი სიახლე, რასაც კანონპროექტი ითვალისწინებს, ეს არის შინაური ბინადარი ცხოველების საყოველთაო რეგისტრაცია, იდენტიფიკაციის ვალდებულება, რაც იმის გარანტიაა, რომ სამომავლოდ ქუჩაში გაგდებული ძაღლი აღარ უნდა იყოს.

გარდა ამისა, იქნება საგამონაკლისო წესი, რომელიც მოგვცემს საშუალებას, გავამრავლოთ ცხოველები. ამისთვის იმ დაწესებულებებს ან პირებს, რომლებიც ამრავლებენ ცხოველებს, დაეკისრებათ ვალდებულება, რომ გაიაროონ შესაბამისი რეგისტრაცია მუნიციპალიტეტში და მათი გამრავლებული ყველა ცხოველი დარეგისტრირდეს და შევიდეს მონაცემთა ერთიან ბაზაში.

ასევე, იქნება საგამონაკლისო წესი სტერილიზაცია-კასტრაციის სავალდებულო მიდგომასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საგამოფენო ძაღლებს, რომელთა სტერილიზაცია-კასტრაცია მათ ხარისხობრივ მაჩვენებელს ქვემოთ სწევს, რის გამოც გამოფენებში ვეღარ მიიღებენ მონაწილეობას. მათი მეპატრონეებიც ვალდებულნი იქნებიან, დაარეგისტრირონ თავიანთი ცხოველები, როგორც საგამოფენო ძაღლები და, ბუნებრივია, მათი გამრავლების შემთხვევაში, ასევე, ნაყარიც უნდა დარეგისტრირდეს ბაზაში. საგამოფენო სტატუსს უნდა ადგენდეს შესაბამისი ჯიშიანობის ცნობა.

ასევე, გამონაკლისად იქნება დაშვებული მეპატრონეების უფლება, რომ ერთჯერადად დარეგისტრირდნენ და მოითხოვონ სახელმწიფოსგან თანხმობა იმისთვის, რომ საკუთარი ცხოველი გაამრავლონ. ოღონდ მხოლოდ ერთჯერადად და ბუნებრივია, აქაც მკაცრად გაკონტროლდება ნაყარის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საკითხები.

ხატია იაშვილი

ხალზე ყურადღების გამახვილება ზაფხულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ხალი კანზე არსებული პატარა მუქი ლაქა ან წარმონაქმნია. ის შეიძლება ადამიანს სხეულზე დაბადებიდან ჰქონდეს ან ცხოვრების განმავლობაში განვითარდეს. უმეტეს შემთხვევაში ხალი ყავისფერია, თუმცა, ასევე, შესაძლოა იყოს წითელი, ხორცისფერი, გარდისფერი, რუჯისფერი, თითქმის შავი, თუნდაც ლურჯი ან თეთრი. გარდა ამისა, არსებობს ოვალური ან მრგვალი, გლუვი ან ხორკლიანი, ამობურცული ან ბრტყელი, ასევე თმიანი ხალი. ხალი შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი, ისე შეძენილი, ასევე, არატიპური და წითელი. არის შემთხვევები, როცა ხალი თვალში აქვს ადამიანს

ასაკის მატებასთან ერთად, შესაძლოა, ხალები უფრო ღია ან მუქი გახდეს. სხვა ფაქტორებმა, როგორიც არის მზის ზემოქმედება ან გარკვეული მედიკამენტები, შეიძლება ხელი შეუწყოს ხალების გამუქებას ან წარმოქმნას. ხალების უმეტესობა კეთილთვისებიანია. ექიმები, მცირედი ეჭვის შემთხვევაში, ხალების ცვლილებაზე დაკვირვებას გვირჩევენ, რადგან ეს შეიძლება კიბოს წარმოქმნაზე მიუთითებდეს.

სპეციალისტების განმარტებით, კანის კიბოს მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენს ღია ფერის კანის მქონე ადამიანი, ან ის, ვინც ადვილად იწვება მზეზე, ვისაც ბავშვობაში მიღებული აქვს მზის დამწვრობა, ვინც დიდ დროს ატარებს მზეზე, ხშირად დადის სოლარიუმში, მათ, ვისაც აქვთ 40-50-ზე მეტი ხალი, გენეტიკური წინასწარგანწყობა, ვისი ასაკიც აღემატება 50 წელს, ან ვისაც გადანერგილი აქვს ორგანო.

ზაფხულის სეზონზე თემა აქტუალური ხდება. როგორ მოვუაროთ ხალებს და როდისაა ისინი საშიში?.. მკითხველისთვის საინტერესო საკითხებზე ონკოლოგი ***მზია ხალვაში*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო მზია, რა დროსაა საყურადღებო მუქი ხალები?

- ხალების უმეტესობა კეთილთვისებიანია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია მათი ნებისმიერი ცვლილების მონიტორინგი, რადგან ეს შეიძლება კიბოს წარმოქმნაზე მიუთითებდეს. თუ ხალი ასიმეტრიულია, აქვს უსწორმასწორო საზღვრები, განიცდის ფერის ცვლილებებს, აღინიშნება ზრდა, გაღიზიანება, სასურველია ონკოდერმატოლოგის კონსულტაცია და ხალის დეტალური გამოკვლევა.

- უნებლიეთ დაზიანების შემთხვევაში რამდენად საშიშია?

- დაზიანებული ხალი აუცილებლად უნდა დაათვალიეროს ექიმმა. ზოგჯერ ტრავმა შეიძლება გაღიზიანების ან ანთების მიზეზი გახდეს. დაზიანების შემდეგ გაასუფთავეთ დაზიანებული ადგილი და დააკვირდით. თუ რამდენიმე დღეში არ შეხორცდა, აუცილებლად უნდა მიმართოთ დერმატოლოგს.

- რა არის წითელი ხალი და რამდენად საშიშია?

- ეს არის კაპილარული ჰემანგიომა, რომელიც წარმოადგენს სისხლძარღვოვან კეთილთვისებიან წარმონაქმნს. ჩვეულებრივ, იგი ღია წითელი ფერისაა, ზოგჯერ მოლურჯო მუქი შეფერილობა დაჰკრავს. ყველაზე ხშირად გვხვდება სახის მიდამოებში. როგორც წესი, არ არის საფრთხის შემცველი, მას ახასიათებს კეთილსაიმედო მიმდინარეობა. მისი განვითარება ხდება წვრილი კაპილარული სისხლძარღვიდან. მიზეზებზე მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლოა ეს განვითარდეს კანქვეშა კაპილარული ქსელის დაზიანების ფონზე ან დამოუკიდებლადაც. იგი შესაძლოა იყოს მრავლობითი ფორმით კანზე განფენილი, შესაძლოა იყოს წერტილოვანი ფორმით, შეიძლება მთელი სხეულის პერიმეტრზეც ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ იმისთვის, რომ დაზუსტებით ითქვას, საყურადღებოა მათი გაჩენა თუ არა, მნიშვნელოვანია კლინიკური დათვალიერება. უმეტესად, შემთხვევათა 99%-ში მას კეთილსაიმედო მიმდინარეობა აქვს, არ წარმოადგენს საფრთხეს ორგანიზმისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია მისი მონიტორინგი.

- წითელი ხალის დაზიანების შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ?

- აუცილებლად გავაჩეროთ სისხლდენა სუფთა ბინტით ან დოლბანდით, დავამუშაოთ ანტისეპტიკური ხსნარით და დავაკვირდეთ, როგორ ხორცდება. თუ ხალი ხშირად ზიანდება ან სწრაფად იზრდება, ექიმთან წასვლა სავალდებულოა.

- ხშირად ასაკში წითელი ხალები მრავლად ჩნდება. რამდენად საშიშია და მივაქციოთ თუ არა ყურადღება?

- ასაკთან ერთად წითელი ხალების გაჩენა ნორმალურია, თუმცა საყურადღებოა, როცა ის უცებ დიდი რაოდენობით ჩნდება და ვიზუალურად ერთმანეთისგან განსხვავებულია, სისხლმდენია ან ქავილის და ტკივილის მიზეზი ხდება. ეს შეიძლება ზოგჯერ შიდა ორგანოების პრობლემებზე მიუთითებდეს. როგორც უკვე ვთქვი, წითელი ხალი უმეტესად უვნებელია და ხშირია ასაკის მატებასთან ერთად, მაგრამ თუ ის მკვეთრად გაიზარდა, ადვილად იჩღვევა და უცნაურად გამოიყურება, აუცილებელია ონკოდერმატოლოგის შეფასება.

- ზაფხულში რუჯის მიღებისას რამდენად საშიშია ხალები?

- ხალებზე ყურადღების გამახვილება ზაფხულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ისინი მგრძნობიარეა UV სხივების მიმართ და მზის ინტენსიური ზემოქმედება კანის კიბოს რისკს ზრდის. რუჯის დროს მელანომის განვითარების შანსი იზრდება.

- რით დავიცვათ თავი ასეთ დროს?

- აუცილებლად გამოვიყენოთ მზისგან დამცავი კრემი SPF 50+, განსაკუთრებით - ხალებზე, ატარეთ მზისგან დამცავი ქუდი, მზის სათვალე და ღია ტანსაცმელი, თავი აარიდეთ მზის პიკის საათებს - 11:00-დან 16:00-მდე და რეგულარულად შეამოწმეთ ხალები.

- კანქვეშა ხალისმაგვარ ლაქებზეც რომ გვითხრათ, რომელსაც ბევრი ხალთან აიგივებს, რა არის და რა იწვევს მის გაჩენას?

- ეს შეიძლება იყოს როგორც პიგმენტური ლაქები, სისხლძარღვოვანი წარმონაქმნები, ისე ლენტიგინოზი ან დერმატოზები, ზოგჯერ გენეტიკური ან ჰორმონალური ცვლილებების შედეგი. ზუსტი დიაგნოზისთვის საჭიროა დერმატოლოგის მიერ დათვალიერება ან დერმატოსკოპია.

- ამბობენ, ხალების სიმრავლე და ფერი სხვადასხვა დაავადებაზე მიუთითებსო. მართალია?

- დიახ, ზოგჯერ მრავალი განსხვავებული ხალი შესაძლოა გენეტიკური დაავადების, მაგალითად, დისპლაზიური ნევუსის სინდრომის ნიშანი იყოს. უცნაური ფერები, შავი, მუქი ლურჯი, შიგნით სხვა ფერი, შეიძლება მიუთითებდეს მელანომაზე. ზოგადად, სიმრავლე კანის ტიპისა და მზეზე რეაქციის ინდიკატორიცაა.

- ბევრს აინტერესებს, რამდენად საშიშია ხალის მოშორება?

- ხალისთვის მექანიკური ტრავმაც ძალზე სახიფათოა. ეს არის ხალის გაკაწვრა, მოგლეჯა, მასზე ტანსაცმლის მუდმივი ხახუნი, სამართებლით ან სავარცხლით დაზიანება და სხვა. ამიტომ თუ ხალი სხეულის ისეთ ადგილასაა, სადაც ხშირია მისი ტრავმირება, სასურველია მოცილება. პირველ ეტაპზე კეთდება ხალის დიაგნოსტიკა, რომ დადგინდეს ონკოლოგიის რისკი და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ქირურგიული ჩარევა. გირჩევთ, იყავით ყურადღებით და ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში, მიმართეთ სპეციალისტს.

მანანა ტაკიძე

> ***„ასაკთან ერთად წითელი ხალების გაჩენა ნორმალურია, თუმცა საყურადღებოა, როცა ის უცებ დიდი რაოდენობით ჩნდება და ვიზუალურად ერთმანეთისგან განსხვავებულია, სისხლმდენია ან ქავილის და ტკივილის მიზეზი ხდება. ეს შეიძლება ზოგჯერ შიდა ორგანოების პრობლემებზე მიუთითებდეს***

აღდგენილი ორმხრივი მოძრაობა და ბინა – 6-სულიან ოჯახს

პირველი გვერდიდან

დამტკიცდა ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩის №9-სა და ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩის №№94-96-ში მდებარე ავარიული სახლის ადგილას აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული უძრავი ქონებების ავარიული საცხოვრებლის მესაკუთრეებისათვის გადაცემის და გაზრდილი ფართობის, რომელიც იზოლირებულია და შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის საკითხი.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, რამდენიმე ბინა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა. ასევე, დამტკიცდა განკარგულება, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს, შემდგომში, მისი ფაქტობრივი მფლობელის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საკრებულომ ძალადაკარგულად გამოაცხადა ქალაქ ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის ქუჩის I ჩიხი, №16°-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილება. მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის გიორგი წანაწყენიშვილის განმარტებით, ამ გადაწყვეტილებით უქმდება სამართლებრივი საფუძველი და განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ავტომატურად კარგავს ძალას.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესში. ცვლილების მიზანი დადგენილების სრულყოფა და პროგრამაში საჭიროების მქონე უფრო მეტი პირის თუ ოჯახის ჩართვაა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, მრავალშვილიანი ოჯახის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ალელიშვილების 6-შვილიან ოჯახს, ჯამში, 130 კვმ-მდე საცხოვრებელი ფართი გადაეცემა. ცვლილება განხორციელდა „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ პლაჟზე ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს 2012 წლის 26 ივნისის განკარგულებაში, რომლის მიხედვითაც ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ პლაჟს ზომამცირე გემების ბაზირების კიდევ ერთი ახალი პუნქტი დაემატება.

საკრებულომ დღეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ 15 საკითხზე იმსჯელა და დაამტკიცა.

მანანა ტაკიძე

„მთავარი ერთია – სიყვარულზე უნდა აღმოცენდეს ოჯახი“

ჩვენი გაზეთის სტუმარია პოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, „საპატიო მარეთელი“ ***ოთარ ფუტკარაძე,*** *რომელსაც ორივე წოდება ახლახან მიენიჭა*

- ბატონო ოთარ, რამდენად ელოდით, რომ ქართველი მწერლები ასეთ ნდობას გამოგიცხადებდნენ?

- შარშან, როცა ლექსების პირველი კრებული - „მთიდან ამოთქმული ბწკარები“ გამოვეცი, რამდენიმე ეგზემპლარი საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს გადავეცი. ეს ლირიკული კრებული ჩემი ნაზრევისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გულმართალი გამოხატულებაა. ვფიქრობდი, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა მიაგნებდა ჩემს სათქმელს. ასეც მოხდა. გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს, მის თავმჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, აჭარის მწერალთა სახლს. ნდობის გამოცხადება ჩემთვის დიდი პატივი და სამართლიანი დამოკიდებულების ბრწყინვალე გამოხატულებაა.

- რას ნიშნავს, იყო „საპატიო მარეთელი“?

- ეს ნიშნავს - იყო შენი ხეობისა და კუთხე-კუნჭულის მოსიყვარულე და ერთგული, შენი საქმიანობით მოკრძალებული წვლილი შეიტანო ხეობის წარმატებაში, სიცოცხლის უნარიანობაში, ყველა მარეთელის წინსვლაში, წინ აღუდგე ჩვენი წინაპრების კერის გაციებას, ნასახლარებისა და ნასოფლარების გაჩენას.

„მარეთობა, მთიელთ მთობა,
არ ჩაქრება, სულ ენთობა,
ღმერთო, ღმერთო, სულ აცოცხლე,
მთაში მთიელთ მარეთობა“.

- შარშან გამოიცა თქვენი ლექსების პირველი კრებული, როგორი იყო საზოგადოების რეაგირება?

- ოთხასამდე ეგზემპლარი გამოვეცი საკუთარი სახსრებით და უანგაროდ ვუსაჩუქრე ყველას. მიხარია, რომ ობიექტურად იგებენ ჩემს სათქმელს, მილოცავს ყველა. ჩემს კრებულში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ტაო-კლარჯეთს, იმერხევს, ჩვენს უსაზღვრო და მოუშუშებელ ტკივილს. იმერხევში ძირძველი ქართველები ცხოვრობენ. ერთმა მომღერალმა, გულიანმა იმერხეველმა მუსა ბულბულ თეთრაძემ (ქივიჯიქ ალიმ) გაახმოვანა ჩემი ლექსის - „არტანუჯიდან მოჰქრის არწივი“ სტრიქონები. მადლობა მას იმისთვის, რომ გაიგო ჩემი გულის სათქმელი და ნაფიქრალი.

- ერთ ღონისძიებაზე განაცხადეთ, რომ ხმლის ქარქაშში ჩაგებას არ აპირებთ, ანუ ემზადებით მორიგი წიგნის გამოცემისთვის?

- თავს არ ვზოგავ და მთელი შემართებით ვმუშაობ, რომ სულ ახლო ხანში მორიგი კრებული შევთავაზო ჩვენს საზოგადოებას. არ ვჩქარობ. მინდა, ერთხელ კიდევ, საინტერესო ლექსთა კრებული გამომივიდეს. ეს ჩუმი, დაუოკებელი სურვილია. ვფიქრობ, ფრთები შეესხმება ჩემს მისწრაფებას, კიდევ ერთხელ გამოვხატო მოკრძალებული სათქმელი, მოვეფერო ჩემს სამშობლოს, ბუნებას, მთასა და ბარს...

- 71 წელი უკან მოიტოვეთ, მრავალი განსაცდელი გამოიარეთ, გასახსენებელიც ბევრი გექნებათ. ლექსების ახალ კრებულში პროზასაც თუ შეიტანთ?

- გეთანხმებით, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოვდივარ და არაერთი განსაცდელი გამოვიარე. ვენაცვალე ამ დროებას, როცა თავისუფალი აზრის გამოხატვის საშუალება გაქვს. მახსოვს, მე-7 კლასის მოსწავლე გახლდით, როცა მაშინდელი რაიონული გაზეთის რედაქციაში მივედი ერთი თხოვნით - ლექსი დაებეჭდათ. უარით გამომისტუმრეს. გულდაწყვეტილი, სასოწარკვეთილი გამოვბრუნდი უკან. მთელი ღამე არ მძინებია. ის ლექსი მაინც შევინახე და დღეს ჩემს მოკრძალებულ კრებულშია შეტანილი. ახალ კრებულში ვეცდები პროზაც გამოჩნდეს. კარგად ვიცნობ ტაო-კლარჯეთს, იმერხევს, იქ მცხოვრებ გულიან ქართველებს. მინდა, შესაძლებლობისამებრ, სათანადოდ წარმოვაჩინო... იმერხეული დიალექტი ხომ ძირძველი ქართული დიალექტია და ძალიან ახლოსაა ქართულ სალიტერატურო ენასთან.

- მთის სოფლის სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი როგორ აფასებთ მოქმედი ხელისუფლების დამოკიდებულებას ქართული ენისადმი?

- ქართული ენა ჩვენი მშობლიური, სამწერლობო და სალიტერატურო ენაა. მისასალმებელია განათლების სამინისტროს ინიციატივა, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ყველა კურსზე ისწავლებოდეს ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ცალკე საგნად გამოიყოს ქართული ენა.

- აღიარება, რომელიც „მარეთობაზე“ გეგრგოთ, შუბნელმა კოლეგებმა საზოგადოებრივი ქსელით მოგილოცეს, კიდევ რამდენ წელს აპირებთ მათთან ერთად მუშაობას?

- დიახ, გულწრფელად მომილოცეს ჩემმა კოლეგებმა. დღესაც, ამ ასაკში ჩემი გაზრდილი მოსწავლეების გვერდით საქმიანობა დიდი ბედნიერებაა. შუბნის საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს ჩემი ყოფილი, წარჩინებული მოსწავლე ტარიელ ფუტკარაძე. სწორედ ამ კოლექტივის ჩემდამი დამოკიდებულებამ გამაძლებინა დღემდე. ყოველთვის მაგულიანებენ, გულისხმიერებასა და პატივისცემას არ მაკლებენ.

- ზოგჯერ პიროვნება, რომელიც მცირედ საქმეს გააკეთებს, თავს მოღვაწედ მიიჩნევს, თქვენი შეფასებით, ვისზეა მისადაგებული ეს სიტყვა?

- ძალიან საინტერესო და საკმაოდ რთული შეკითხვაა. აქვე უილიამ შექსპირის ბრძნული გამონათქვამი მინდა გავიხსენო: „უფრო ღირსეული იქნებოდი, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას ასე ხშირად რომ არ ახსენებდე“. ვფიქრობ, ამ სიტყვებში ყველაფერი ნათლადაა ახსნილი. ვინც თავისი მცირედი საქმით თავს უკვე მოღვაწედ მიიჩნევს, ვერასოდეს გახდება ნამდვილი მოღვაწე, ის დარჩება მხოლოდ თავისი მცირე ნამოღვაწარის არასწორ შემფასებლად... პურის თავთავი, რომელიც დახუნძლულია, სიმძიმისგან თავდახრილია, ცარიელ თავთავს კი ნიავი აქით-იქეთ არხევს.

- მოსწავლე, რომელმაც შუბნის სკოლისა და პედაგოგების დამსახურება ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანა?

- ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთაგან არაერთმა ასახელა სკოლა, პედაგოგიური კოლექტივი, ხეობა. მათ შორის გამორჩეულია ბრწყინვალე ენათმეცნიერი, თურქეთსა და ირანში, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა მოტრფიალე და ქომაგი ტარიელ ფუტკარაძე. იგი დაუღალავად და დაუსრულებლად იღვწოდა ქართული ენის სიწმინდესა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა მიერ მშობლიური ენის შესწავლაზე. სიმბოლურია, რომ ჩვენი სკოლა ტარიელ ფუტკარაძის სახელს ატარებს.

- ოჯახში სამი თაობა ხართ, 17 მაისი საქართველოში ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღეა. რა კრიტერიუმებს მიაკუთვნებთ ქართული ოჯახის სიწმინდეს?

- დიახ, სამი თაობის ოჯახი ვართ. ყველა თაობას თავისი სივრცე და ადგილი აქვს და გვაერთიანებს სიყვარული. კარგია, რომ ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება. ვფიქრობ, ეს ოჯახის ერთგულებისა და თანადგომის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა... ოჯახის სიწმინდისთვის აუცილებელია სულიერი ერთიანობა, მორალური სიწმინდე, სამართლიანობა, ოჯახის წევრთა ერთიანი შემართება, „ჭირსა შიგან გამაგრება“, მომავლის ღრმა რწმენა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული...

- თქვენი ოჯახი გარიგებით შეიქმნა თუ...?

- რა თქმა უნდა, ძველი ქართული ტრადიციით - გარიგებით. გარიგება არ ნიშნავს ძალადობას რაიმე ნიშნით. გარიგებაც, ხშირად, ნამდვილი გულწრფელი სიყვარულით გვირგვინდება. არასდროს მინანია. მიყვარს ძველი ქართული ადათ-წესები. ვერ ვეგუები მათ მივიწყებას. მთავარი ერთია - სიყვარულზე უნდა აღმოცენდეს ოჯახი...

- ერთი ამოსუნთქვით თუ დაგიწერიათ ლექსი მეუღლისათვის?

- რა თქმა უნდა, ოღონდ ერთი არა, რამდენიმე. ერთ ამონარიდს გავიხსენებდი:

„წუთისოფლის სალოცავი
დაბლა ცაა, მაღლა ღმერთი,
შენ ხატი ხარ მუდამ ჩემთვის,
შენ ქალი ხარ ერთადერთი...
შენ ქართველი დედა ხარ და
შენ ატარებ ქართულ მანდილს,
ამ ჩემს გულში შენ მაგივრად,
ვერ დაიჭერს ვერვინ ადგილს.
ეჰ, რამდენჯერ ვერ გითხარი,
რამდენ რამის მე თქმა მსურდა,
მინდა დიდხანს გვერდით მყავდე,
ამ გულს შენთან ყოფნა უნდა“.

ბუთურაულში ქართული სკოლის აღდგენის 100 წლის იუბილე გადაიხადეს

შუახევის რაიონის სოფელ ბუთურაულში ქართული სკოლა საუკუნის წინ აღდგა. ამჟამად იგი 2008 წლის აგვისტოს ომის გმირ იაგო მიქელაძის სახელობისაა. წლების განმავლობაში მის კედლებში თაობები აღიზარდნენ და თავიანთი წვლილი შეიტანეს ქვეყნის აღმშენებლობაში

სკოლის 100 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა. ითქვა, რომ საუკუნის წინ საგანმანათლებლო კერა საცხოვრებელ სახლში დაწყებითი სკოლის სახით ამოქმედდა. პირველი პედაგოგები იყვნენ მოწვეული ახალგაზრდები მარო გოგუაძე და ვალიკო ბერიძე, სოფელს დიდი ამაგი დასდო ასევე, მოწვეულმა პედაგოგმა ლუბა ბაღიშვილმა, რომელიც შემდეგ ბუთურაულელთა რძალი გახდა. პირველი ადგილობრივი მასწავლებელი ბინალ მიქელაძე გახლდათ.

1939 წელს დაწყებითი სკოლა შვიდწლიანად გადაკეთდა, რომელსაც მოვლინებული პედაგოგი კატიუშა კაჭარავა ჩაუდგა სათავეში. 1986 წლიდან იგი საშუალო სკოლის სტატუსითაა. სხვადასხვა წლებში სკოლას სათავეში ედგნენ: ანიკო ქელბაქიანი, რიზა დიასამიძე, ვლადიმერ, ამირან, არჩილ, ზვიად მიქელაძეები. ახლა სკოლას ხელმძღვანელობს ბულბული მგელაძე. ამჟამად მასში 48 მოსწავლეა, რომელთა აღზრდას 18 მასწავლებელი ემსახურება.

საზეიმო საღამო გახსნა ბულბული მგელაძემ. სოფელს, დამსწრე საზოგადოებას საიუბილეო თარიღი მიულოცეს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრის მოადგილეებმა ჯემალ სურმანიძემ, რავშან ბეჟანიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილე გიორგი კეკელიძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, სპმთპ (საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის) შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარიძემ, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ, სოფლის მკვიდრმა, საჯარო მოხელე მურად მიქელაძემ. მათ ისაუბრეს განათლების მნიშვნელობაზე, გაიხსენეს სკოლის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები.

საზეიმო ვითარებაში საპატიო სიგელები და მადლობის ბარათები გადასცეს იმ ადამიანებსა და მათი ოჯახების წევრებს, რომლებმაც სკოლის მუშაობაში წვლილი შეიტანეს.

დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების მიერ გამართულმა კონცერტმა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ახალგაზრდა მასწავლებლის გზა კლასიდან – თანამედროვე პლატფორმამდე

ჩვენი დღევანდელი სტუმარი 26 წლის ისტორიის მასწავლებელი თეკლე აბაშიძეა, რომელიც ბათუმის მრავალდარგობრივ გიმნაზია „იბერიაში“ უკვე ორი წელია ასწავლის. მას სადამრიგებლო კლასიც ჰყავს და ცდილობს, ახალგაზრდებთან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს. თეკლე მოსწავლეებს თანამედროვე მიდგომებით ასწავლის, ამასთან, ბოლო რამდენიმე თვეა, აქტიურად გამოჩნდა ტიკ-ტოკ პლატფორმაზე, სადაც უკვე ათასობით გამომწერი ჰყავს

მის კონტენტში განსაკუთრებული ადგილი საქართველოს ისტორიას უჭირავს. თვლის, რომ რთული თემების მარტივად და საინტერესო ფორმით გადმოცემა მოსწავლეებს მოტივაციას აძლევს. ის პროფესიულ საქმიანობას წარმატებით უთავსებს სოციალურ სივრცეში აქტიურობას და საზოგადოებას არწმუნებს, როგორ შეიძლება ისტორია გახდეს ცოცხალი, საინტერესო და საყვარელი თემა არა მხოლოდ კლასში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

- თეკლე, გვიამბეთ თქვენზე, როგორ და რატომ გადაწყვიტეთ ისტორიის მასწავლებლობა?

- ხულოს რაიონის სოფელ ვერნებიდან გახლავართ, საშუალო განათლება სწორედ ამ სოფლის პატარა ხის სკოლაში მივიღე. საკუთარი თავი მასწავლებლის ამპლუაში ჯერ კიდევ მაშინ აღმოვაჩინე, როცა მე-9 კლასში ქართულის მასწავლებელმა საგნის ინტერესის კიდევ უფრო გასაღვივებლად გაკვეთილი ჩამატარებინა. ამან დამანახა, რომ საკმაოდ კარგად შემეძლო აუდიტორიასთან თავდაჯერებულად წარდგომა. მივხვდი, რაოდენ სასიამოვნო გრძნობა და პროცესია, როცა ცოდნას აზიარებ. მას შემდეგ კიდევ უფრო დავინტერესდი ამ პროფესიით და ის საგანი ავირჩიე, რომელიც სკოლაში ყველაზე მეტად მაინტერესებდა, - ეს ისტორია იყო.

- თქვენი, როგორც პედაგოგის, პირველი დღე - სკოლაში?

- პირველი დღე საცდელი გაკვეთილით დაიწყო, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ და სასიამოვნოდ წარიმართა. არასდროს დამავიწყდება ის ემოციები და კმაყოფილება, რაც მოსწავლეებისა და შემფასებელი კომისიისგან მივიღე, რომლის ერთ-ერთი წევრი ამავე სკოლის დირექტორი გახლდათ.

- როგორც ვიცი, დამრიგებელიც ხართ. როგორი ურთიერთობა გაქვთ მოსწავლეებთან?

- მოგეხსენებათ, დამრიგებლობა იმაზე მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, ვიდრე რომელიმე საგნის სწავლება, თუმცა, საბედნიეროდ, ჩემმა უნარებმა: კომუნიკაბელურობამ, გულწრფელობამ, უშუალობამ, დისციპლინამ, მუდმივმა თვითრეალიზებამ, თვითგანვითარებამ და, რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ეს საქმიანობა გამიადვილა. მოსწავლეებთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჩამოვაყალიბე. მათთვის არ ვარ მხოლოდ დამრიგებელი, ვარ მეგობარიც, მრჩეველიც, მასწავლებელიც, მოსამართლეც, ექიმიც, ფილოსოფოსიც, ფსიქოლოგიც...

- რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ გამოწვევად მასწავლებლის პროფესიაში?

- ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან აზროვნებით, ემოციებით, ოჯახური მდგომარეობით, მრავალფეროვნებით, ფსიქო-სოციალური განვითარებით. მე კი, როგორც მასწავლებელი, უნდა მოვერგო და მოვარგო გაკვეთილი თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი განსხვავებული ინტერესებისა, რაც საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა.

- როგორ ახერხებთ, რომ თქვენი საგანი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო და გასაგები გახადოთ?

- ვცდილობ შევიტანო სახალისო და საინტერესო აქტივობები, როგორიცაა: კომიქსი, როლური თამაშები, ქვიზები, ვიდეო და ვიზუალური მასალები, დისკუსია, დებატები, ინტერვიუს მეთოდი და ამ ყველაფერს დამატებული ცოტა იუმორი. ვცდილობ, ისტორია ვასწავლო ნაწილ-ნაწილ და არა - ერთიანად.

- რომელი ისტორიული პერიოდი ან თემაა თქვენთვის გამორჩეული და რატომ?

- ძალიან რთულია ისტორიის რომელიმე პერიოდზე არჩევანის გაკეთება, თუმცა, როგორც ქალი, გამოვარჩევდი მე-12 საუკუნის „ოქროს ხანას“, რადგან თამარ მეფის ეპოქა ყველა ქართველი (და არამარტო) ქალისთვის სამაგალითო უნდა იყოს. იგი ქალის სიძლიერის, სიბრძნისა და რწმენის სიმბოლო გახდა. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, მან იმაზე მეტი შეძლო, ვიდრე ბევრმა მამაკაცმა თავისი მეფობის განმავლობაში და ეს მაშინ, როცა ქალის მმართველობა იშვიათი კი არა, დაუშვებელიც კი იყო. მან დაადასტურა, რომ სქესი არ განსაზღვრავს სიძლიერეს.

- როგორ ფიქრობთ, მოსწავლეებმა თქვენი მიდგომით ისტორია შეიყვარეს?

- დიახ. ყოველი კვირის ან თვის ბოლოს გამოკითხვას ვატარებდი, თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება ისტორიისადმი გუშინდელთან შედარებით. მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ჩემი მიდგომის დამსახურებით, უფრო გაიზარდა ინტერესი და სიყვარული ამ საგნისადმი. გარდა ამისა, ვატარებდი სტრატეგია 3, 2, 1-ს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეებს უნდა ჩამოეწერათ სამი რამ, რაც ჩემში ან ჩემი სწავლების მეთოდიკაში მოსწონდათ, ორი რამ, რაც არ მოსწონდათ და ერთი - რასაც შეცვლიდნენ ან პირიქით (რაოდენობაში არ იყვნენ შეზღუდულნი).

- როგორ გადაწყვიტეთ ტიკ-ტოკ პლატფორმაზე აქტიურობა და რა იყო ამის მთავარი მიზეზი?

- მოგეხსენებათ, დღესდღეობით ტიკ-ტოკ პლატფორმა საკმაოდ პოპულარულია მოზარდებსა და ახალგაზრდებში, როგორც გასართობი ან შემეცნებითი საშუალება. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეებთან საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, შემომთავაზეს ტიკ-ტოკის გადმოწერა და საცეკვაო ტრენდების გადაღება, რაზეც მიიღეს მტკიცე უარი, რადგან აქამდე არ მქონდა და, შესაბამისად, არ ვიყენებდი ამ პლატფორმას. ჩემმა უარმა საკმაოდ გაანაწყენა მოსწავლეები, რამაც დამაფიქრა. გადავწყვიტე გადმოეწერა და დავკვირვებოდი ამ პლატფორმას. გარკვეული დროის შემდეგ, გადავწყვიტე გამეხსნა ტიკ-ტოკი და ამეტვირთა ვიდეო, თუმცა ეს არ იყო გასართობი ხასიათის, მას ჰქონდა მიზნობრივი, სასწავლო და, ზოგადად, საგანმანათლებლო დატვირთვა, რომელიც მოსწავლეების გამოჩენის გარეშე წარმოაჩენდა ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას.

- როგორი გამოხმაურება გაქვთ გამომწერებისგან, რას გწერენ ყველაზე ხშირად?

- საზოგადოებისგან ნაკლებად წამოსულა ნეგატივი, პირიქით, ჩემი გამომწერებისგან უამრავი დადებითი შეფასება მიმიღია, რამაც მეტი მოტივაცია მომცა.

- ეხმარება თუ არა მოსწავლეებს თქვენი ტიკ-ტოკ-კონტენტი გაკვეთილების უკეთ გაგებაში?

- მოსწავლეები საკმაოდ ხშირად იყენებენ ტიკ-ტოკს, ამოწმებენ ჩემს გვერდს, კითხულობენ კომენტარებს. ვიდეოებს უამრავჯერ უყურებენ თავიდან და აქ გაჟღერებულ თითოეულ ისტორიულ დეტალს თითქოს სამუდამოდ იბეჭდავენ გონებაში. ტიკ-ტოკმა მათ მოტივაცია მისცა, მეტიც - ისინი ტიკ-ტოკის ჯანსაღად გამოყენებაზე დაფიქრდნენ, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოჰქონდათ სკოლაში სხვა მასწავლებლების მიერ გაჟღერებული ინფორმაციები.

- წამოსულა თუ არა კრიტიკა საზოგადოების ან კოლეგების მხრიდან თქვენი ონლაინაქტიურობის გამო?

- საზოგადოებისგან ყოფილა კრიტიკა დიალექტთან დაკავშირებით, რაც შეეხება კოლეგებს, მათგან კრიტიკა არ მიმიღია.

- თქვენი აზრით, როგორ უნდა ასწავლოს ისტორია თანამედროვე მასწავლებელმა, მოსწავლეებისთვის საინტერესო რომ იყოს?

- უნდა ეცადოს, კრეატიულად და შემოქმედებითად მიუდგეს მოსწავლეებს. ისტორია არ უნდა იყოს მხოლოდ სახელებისა და თარიღების დამახსოვრების პროცესი, იგი უნდა გაუცოცხლო ბავშვს სხვადასხვა აქტივობით, იქნება ეს ვიდეო თუ ფილმი, უნდა გადაიტანო თანამედროვეობაში, გაავლო პარალელები ძველ დროსა და თანამედროვეობას შორის და ასე შემდეგ.

- რა უნდა შეიცვალოს სასკოლო განათლების სისტემაში, ბავშვებმა ისტორია თუ სხვა საგნები უკეთ რომ შეისწავლონ?

- ვფიქრობ, განათლების სისტემამ მასწავლებლის ინიციატივებისთვის ონლაინგვერდი უნდა შექმნას. ამ ყველაფერმა შესაძლოა, უკეთესობისკენ შეცვალოს საგნის სწავლების სპეციფიკა. როგორც ისტორიის მასწავლებელი, ვიტყვი, რომ კარგი იქნებოდა ისტორიის დამხმარე დისციპლინის - არქეოლოგიის შეტანა და განვითარება სკოლებში, რაც ხელს შეუწყობს როგორც ისტორიის სწავლებას, ისე მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას.

- როგორ ხედავთ განათლების მომავალს საქართველოში?

- ვფიქრობ, განათლება საქართველოში კიდევ უფრო ფასეული გახდება მომავალში, კიდევ უფრო დაფასდება მასწავლებლის პროფესია. წინა პლანზე უფრო მეტად წამოიწევს მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები და სოციო-ემოციური განათლება, რაც დღის წესრიგში დააყენებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვასა და განვითარებას.

- რა გაძლევთ ყველაზე დიდ მოტივაციას?

- მოსწავლეები და მათგან მიღებული ემოციები, რაც ჩემი მოტივაციისა და ენერგიის მთავარი წყაროა.

- რა გეგმები გაქვთ მომავალში როგორც მასწავლებელს, ასევე, როგორც კონტენტ კრეატორს?

- მინდა პროფესიაში კიდევ უფრო მეტად განვვითარდე და მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობები, რომელიც მიმართული იქნება მომავალი თაობისთვის უკეთესი მომავლის შექმნისკენ. კონტენტს რაც შეეხება, მინდა უფრო დავხვეწო საგანმანათლებლო კუთხით, რათა მოტივაცია მივცე როგორც მოსწავლეებს, ისე იმ მასწავლებლებს, რომლებიც ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს ამ პროფესიაში.

მარიამ ხითარიშვილი

> ***ვფიქრობ, განათლების სისტემამ მასწავლებლის ინიციატივებისთვის ონლაინგვერდი უნდა შექმნას. ამ ყველაფერმა შესაძლოა, უკეთესობისკენ შეცვალოს საგნის სწავლების სპეციფიკა. როგორც ისტორიის მასწავლებელი, ვიტყვი, რომ კარგი იქნებოდა ისტორიის დამხმარე დისციპლინის - არქეოლოგიის შეტანა და განვითარება სკოლებში, რაც ხელს შეუწყობს როგორც ისტორიის სწავლებას, ისე მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას***

> ***მოსწავლეები საკმაოდ ხშირად იყენებენ ტიკ-ტოკს, ამოწმებენ ჩემს გვერდს, კითხულობენ კომენტარებს. ვიდეოებს უამრავჯერ უყურებენ თავიდან და აქ გაჟღერებულ თითოეულ ისტორიულ დეტალს თითქოს სამუდამოდ იბეჭდავენ გონებაში. ტიკ-ტოკმა მათ მოტივაცია მისცა, მეტიც - ისინი ტიკ-ტოკის ჯანსაღად გამოყენებაზე დაფიქრდნენ, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოჰქონდათ სკოლაში სხვა მასწავლებლების მიერ გაჟღერებული ინფორმაციები***

„ჩვენ ბევრი ალუდა, ჯოყოლა, მინდია უნდა ვინატროთ“

სიტყვით და საქმით გამორჩეული, ღვაწლმოსილი, ამაგდარი, სიკეთის მთესველი, უსაყვარლესი პოეტი და პედაგოგი, საუცხოო ოჯახის თავკაცი, გულმართალი და შორსმჭვრეტელი - ასე ახასიათებენ რეზო თებიძეს სოფელ პირველი მაისის (ქედა) მცხოვრებლები, ყოფილი მოსწავლეები, კოლეგა პედაგოგები და მწერლები. დამფასებელთა წრე საკმაოდ დიდია, რადგან ბატონი რეზო თავისი ცხოვრების წესითა და ინტელექტით, საქმიანობით ნამდვილად გამორჩეულია



*მრავალი წელია, პედაგოგიურ სარბიელზე ნაყოფიერად იღვწის, ლიტერატურა და ხელოვნება შეაყვარა არაერთ ახალგაზრდას, რომლებიც მისი წიგნებითაც ინტერესდებიან. იგი არაერთი კრებულის ავტორია. გეპატიჟებით **რეზო თებიძის** საინტერესო სამყაროში სამოგზაუროდ, სადაც გონის, რწმენისა და სიყვარულის ჰარმონია სუფევს.*

- ბატონო რეზო, აჭარაში და მის გარეთაც ბევრი გიცნობთ როგორც კარგ პოეტსა და პედაგოგს. თქვენ როგორ წარმოგვიდგენთ საკუთარ პერსონას?

- არ მგონია, ბევრი მიცნობდეს, აჭარის იქით პრესაში ლექსები არ დამიბეჭდავს. ჩემს არცთუ ისე ცნობადობას ფეისბუქზე „მოლაიკეთა“ მცირერიცხოვნობაც ადასტურებს. ამას სულისშემძვრელად არ განვიცდი: რაცა ვარ, ესა ვარ. ვცხოვრობ ქედაში, სოფელ პირველ მაისში. აქვე ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ბავშვობიდან „ამეკვიატა“ ლექსების წერა და ვეღარ გადავეჩვიე. სოფლის ტრადიციას არ ვღალატობ და სოლიდური ასაკის მიუხედავად, მუხლჩაუხრელი მიწათ(შე)მოქმედიც გახლავართ.

- მაინც რა არის ცხოვრებაში მთავარი?

- „თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“, - გვაფრთხილებს ბრძენი ილია. ცხოვრება მოულოდნელობებით სავსეა, შეიძლება თავბედი გაწყევლინოს, მაგრამ „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“, ადამიანად გაგაჩინა ბუნებამ და უნდა დარჩე ადამიანად - უფლისგან დაბედებული მისიის აღსასრულებლად. კარგად უთქვამს მამია გურიელს: „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“, ან თუნდაც იოსებ ნონეშვილს: „ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი, წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი“. ციტატების დამოწმებაში გადავაჭარბე, მაგრამ... ღირს კლასიკოსების გახსენება!

- „მე ყურს ვუგდებდი სულ სხვა კამერტონს“... - ამბობთ ერთ ლექსში. გვესაუბრეთ ამაზე, გვამოგზაურეთ თქვენს პოეტურ სამყაროში.

- ეს წინა საუკუნის 70-იან წლებში დაიწერა. ადამიანი ერთადერთი მოაზროვნე არსებაა და ცხოვრების მაჯისცემას უნდა უსმენდეს, ხელოვანი, მით უმეტეს. საზოგადოება მარად განახლებად ფენომენად მოიაზრება. მას სრულყოფილების მიღწევაში წინ ეღობება აზროვნებაში, შეხედულებებში გაბატონებული სტერეოტიპები, შაბლონები, კლიშეები, რომლებიც აუცილებლობად, ნორმად მიაჩნია უმრავლესობას. ამ არასასურველი პოსტულატების მავნებლობას ერთეულები შეიცნობენ და ბრმად მორწმუნე მორჩილ უმრავლესობას თვალს უხელენ. ჩვენ ბევრი ალუდა, ჯოყოლა, მინდია უნდა ვინატროთ, რათა უკეთეს დღევანდელობასა და მერმისში ვიცხოვროთ. ეს არის ამ ლექსის ლაიტმოტივი.

- როგორც პედაგოგი, ამ ეტაპზე ყველაზე საჭიროდ რას მიიჩნევდით განათლების სფეროში?

- ალტერნატიული სახელმძღვანელოებით სარგებლობის პრაქტიკას როგორმე უნდა შეველიოთ. ავტორებს რაც მოესურვებათ, ის შეაქვთ სასწავლო პროგრამებში. ქართულ ლიტერატურაში ერთ ავტორს არ გაუთვალისწინებია „სამშობლო ხევსურისა“, თვითონ ვასწავლე და კიდეც დავაფიქსირე ეს ერთ-ერთ ჟურნალში. ასეთ შემთხვევაში ხომ დამაეჭვებს სახელმძღვანელოს ავტორის ეროვნული ცნობიერება და მაფიქრებინებს, რომ ეს მიზანმიმართულად კეთდება. აბა, რა მოსაწონია, რომ მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოში არ შეაქვთ ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“ ან თუნდაც „ტრაგედია უგმიროთ“ და ასე შემდეგ. აქ ახალგაზრდობის ეროვნული და სულიერ-ზნეობრივი აღზრდის ელექსირების იგნორირებაზეა საუბარი. ავტორებს უჩივიან სხვა საგნების მასწავლებლებიც. მაგალითად, მათემატიკაში მოსწავლეებმა უნდა დაძლიონ ზერთული მასალები, რომლებიც მხოლოდ უმაღლოებით სკოლების უზრუნველყოფა საშური საქმეა. და კიდევ: განათლების ეროვნულ პროგრამაში სწავლებაზე მთავარი ყურადღების გადატანამ ჩრდილში მოაქცია მოსწავლეთა აღზრდის პრიმატი. იმისთვისაც კი ვერ მიგვიღწევია, მოზარდებმა (დიდებმაც) გარემო არ დააბინძურონ. დიდ-პატარამ შეურაცხმყოფელად უნდა აღიქვას ბანერები წარწერებით: „გაუფრთხილდი გარემოს!“, „ეს შენი სამშობლოა, არ დააბინძურო!“. უნდა ვერწმუნოთ ილიას: „განათლება შეიძლება გქონდეს საშუალო, მაგრამ აღზრდა უნდა გქონდეს უმაღლესი“. ჭეშმარიტად!

- ცხოვრებისეული გამოცდილება, ტრადიციები და ნოვაციები რას კარნახობს და რისი ცოდნა აძლიერებს ადამიანს?

- დავით გურამიშვილისაგან დავიწყებ: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“, - სულმნათის ეს მაქსიმა გათავისებული თუ გაქვს, ცოდნას პლუს ცხოვრებისეული გამოცდილება და პიროვნება იქნები მდიდარი და მარგი. სხვა შემთხვევაში ფიქრადაც არ მოგივა ტრადიციების შეფასება-გადაფასება, ნოვაციებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია! გამოცდილება, ტრადიცია, ნოვაცია ჩვენს ცნობიერს აძლიერებს ცოდნა-რწმენით, რომ საზოგადება უნდა ვითარდებოდეს მხოლოდ ევოლუციის გზით და არა - რევოლუციებით და რომ ამისთვის მსახურება შენი, როგორც მოქალაქის, ვალდებულებაა და უნდა ხელგეწიფებოდეს.

- „არსებობს მძიმე დანაშაული - წიგნების უგულებელყოფა, მისი წაუკითხაობა“ - ბროდსკის ამ ფრთიან ფრაზას თქვენ რას დაუმატებდით, თავად რა სახის ლიტერატურას ამჯობინებთ და ახალგაზრდებს რას ურჩევთ?

- წიგნების წაუკითხაობის გამო არავის განსასჯელის სკამზე არ დასვამენ, აი, ცხოვრებამ კი შეიძლება პასუხი მოსთხოვოს; როგორც გურამიშვილი ამბობდა, გასტანჯავს წუთისოფელიო. კითხვა ყველას სულიერი მოთხოვნილება რომ იყოს, მკითხველთა არმიები გვეყოლებოდა და ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჭყეფდა. ამისი თვალსაჩინო მაგალითია დავით აღმაშენებელი. წიგნებით მოიგო ამ ღმერთიერთ კაცმა ომი. გალაკტიონისა არ იყოს, მკითხველობას იბრალებს წიგნის გადამკითხველიც. ერთისგან ისიც კი მოვისმინე, გალაკტიონს ვკითხულობ და ვერთობიო. ნახა რა სათამაშო და თავშესაქცევი! ჩვენი აშკარად ნიჭიერი ახალგაზრდობა, მოსწავლეებიც, რჩევების მიუხედავად, მოდურად არიან განწყობილნი. თუკი ვინმე კითხულობს, უფრო თანამედროვე დასავლურ ლიტერატურას, გარდასული საუკუნეების კლასიკოსებს, როგორც უცხოელს, ასევე ეროვნულს, ქართულს - იშვიათად. არჩევანს აკეთებენ საეჭვო მხატვრული ღირებულების დეტექტივებზე. ცოდნა, როგორც განძი, კლასიკოსებშია და ახალგაზრდობას ვურჩევდი, იკითხონ ბევრი, უპირატესად დაეწაფონ ქართულ კლასიკას, რათა ჩვენი ეროვნული ცნობიერება არ დაკნინდეს...

- „მე უღმერთობის ზეობა მომკლავს“ - თქვენს ამ გულისტკივილს თუ განვაზოგადებთ... ანუ რწმენისადმი თქვენი დამოკიდებულება.

- კონსტიტუციით ადამიანის უფლებაა, იყოს ან არ იყოს რელიგიური. ამ უკანასკნელისათვის არავის უნდა განიკითხავდნენ... ღმერთი, უფალი - ეს სიტყვები ჩვენს ცნობიერსა და მშობლიური ენის ლექსიკაში ჩაფესვებულ-ჩაკირულა, სიმბოლურ-საკრალური შინაარსის მატარებელია და რელიგიური თუ არარელიგიური ხელოვანი ჩვენს ყოფაცხოვრებაში ათი მცნების სარეალიზაციოდ მუდამ გამოიყენებს. უღმერთობის ზეობაში ვგულისხმობდი და ვგულისხმობ რელობაში ფეხმოკიდებულ ცრუ ფასეულობებს, რომელთა აღმოფხვრა ვერცერთ სახელმწიფოებრივ სისტემაში ვერ მოხერხდა, პირიქით, უფრო ღრმად იდგამს ფესვებს. ამას უნდა ხედავდეს და ხმას იმაღლებდეს არა მარტო ხელოვანი, არამედ ნებისმიერი მოქალაქე... ქრისტეს ათი მცნება ვახსენე. რელიგიური თუ არარელიგიური პიროვნება, ნებსით თუ უნებლიეთ, ცხოვრებაში ორიენტირად, აღზრდის ერთადერთ, განუმეორებელ სახელმძღვანელოდ მას ირჩევს და ამ, მგონი, არ შევცდები თუ ვიტყვი: - ოდითგან აღმსარებლობების მეტ-ნაკლებად დაპირისპირების გარემოში, ყველა ქართველის ქრისტიანად ყოფნას ვისურვებდი.

- „მემენტო მორი“ - რას გვაფრთხილებდა ბრძენი? როცა სიკვდილ-სიცოცხლის საზრისზე ფიქრობთ და წერთ...

- ბრძენი რომაელი მონა არა მარტო თავისი სარდლის, საუკუნეებში ყველას მოძღვარია: წინ სიკვდილია, წარმატებები, ქება-დიდება თავში არ აგივარდეთ, თორემ ჯოჯოხეთში აღმოჩნდებითო. საოცარი ის არის, რომ მონამ გაბედა და სიცოცხლეშივე ლამის განსასჯელის სკამზე დასვა თავისი მბრძანებელი თვითკონტროლის შესუსტებისა და განდიდების მანიით მოსალოდნელი შეპყრობის გამო. სიკვდილის არსებობა ბევრ რამეზე გვაფიქრებს, მათ შორის იმაზეც, რომ ჩვენ ირგვლივ სხვებიც არიან და მათგან ნამეტანი გამორჩეულობის სინდრომით დაავადება ჩვენ ასეც და ისეც მოკვდავობას ადასტურებს. არა ფიზიოლოგიურ-ნივთიერი, არამედ სულიერი აღმატებულება - აი, საითკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა, რათა წარუვალებად დავრჩეთ. მერე რა, თუ ასეც ხდება „ამ წყევლაკრულვიან წუთისოფელში“ და „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან!“, მთავარია, დიდებულება შეინარჩუნო.

- ციფრულ სამყაროში შევაბიჯეთ. რაგორ აღიქვამთ რეალობას?

- ტექნიკურ პროგრესში კაცობრიობამ დინოზავრის ნაბიჯები გადადგა, მგონი, უფრო - კოსმოსური სიჩქარე აჩვენა, ზნეობისა და მორალის მიმართულებით კი, სამწუხაროდ, იქნებ კუს დონეზე მოვიაზრებით. კი, ეს მიღწევები უკვე სასიკეთოდ ისახება ჩვენს მატერიალურ ყოფა-ცხოვრებაში, მაგრამ ისიც საკითხავია, თუ მორალს, ზნეობას კუს ნაბიჯების გადადგმაც უჭირს, ვის და რას მოემსახურება ციფრულ-ტექნიკური სასწაულები?! ვერ ვისურვებდი რობოტების გარემოცვაში ცხოვრებას, მით უფრო, უარესს - ადამიანის გარობოტება-გაბოროტებას. მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა აპოკალიფსური სიუჟეტებით გაჯერებულ სიზმრებს ნახულობს.

- წარსულიდან რომელ ისტორიულ პიროვნებას გამოიხმობდით, ვინ მიგაჩნიათ სამაგალითოდ?

- არჩევანს ფარნავაზ მეფეზე შევაჩერებდი. მან დროს ალღო აუღო და სასწაულთა შორის სასწაული მოახდინა - ქართველური ტომები და ეთნოსები გააერთიანა და პირველმა შექმნა მანამდე არარსებული ქართული სახელმწიფო. დღეს კი... უნდა ვზეიმობდეთ ფარნავაზობას. ნეტავ, დაწესებულია ფარნავაზის დღე?

- ლიტერატურული პერსონაჟი, რომლის გაცოცხლებასაც ისურვებდით და - რატომ?

- შეიძლება ზოგს გაუკვირდეს და - დონ-კიხოტის. ესპანელი ხელოვნების მაესტრო სერვანტესი რომანში თავის მსოფლიოში ცნობილ პერსონაჟს ათქმევინებს, ადამიანის სხეულზე ჭრილობები ვარსკვლავებიაო. დონ-კიხოტს კი (რა თქმა უნდა, მწერალსაც) ვარსკვლავებივით სულზე ჰქონდა ჭრილობები იმ ცრუ ფასეულობათა გამო, რომელთა აღმოსაფხვრელად მიამიტური ხერხებით, მაგრამ გულწრფელად და შეუპოვრად იბრძოდა.

- ყველაზე საკრალური და ძვირფასი სიტყვა თქვენთვის...

- დედა. ამ სიტყვის ხსენება ინტერვიუში სხვაგან უფრო უპრიანი იქნებოდა.

- ჩვენს და თქვენს მკითხველს რას ეტყვით?

- გახსოვდეთ, მარტო საკუთარ თავს კი არა, ერთმანეთს, ოჯახს, ქვეყანას და კაცობრიობას ვჭირდებით. იკითხეთ ბევრი და იღვაწეთ იმისათვის, რომ ცხოვრება უფრო მშვენიერი გახადოთ.

ლაშა ხომერიკი

> *„ალტერნატიული სახელმძღვანელოებით სარგებლობის პრაქტიკას როგორმე უნდა შეველიოთ. ავტორებს რაც მოესურვებათ, ის შეაქვთ სასწავლო პროგრამებში. ქართულ ლიტერატურაში ერთ ავტორს არ გაუთვალისწინებია „სამშობლო ხევსურისა“, თვითონ ვასწავლე და კიდეც დავაფიქსირე ეს ერთ-ერთ ჟურნალში. ასეთ შემთხვევაში ხომ დამაეჭვებს სახელმძღვანელოს ავტორის ეროვნული ცნობიერება და მაფიქრებინებს, რომ ეს მიზანმიმართულად კეთდება. აბა, რა მოსაწონია, რომ მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოში არ შეაქვთ ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“ ან თუნდაც „ტრაგედია უგმიროთ“ და ასე შემდეგ*

საქველმოქმედო კონცერტი

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალის როლი საზოგადოებისათვის“ ორგანიზებით, შშმ პირთა მშობლებისა და ბავშვებისთვის ბათუმის საზაფხულო თეატრში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. საზოგადოების წინაშე ბაიარ შაჰინი და მისი ქალიშვილები - ანსამბლი „სამი და“ წარსდგნენ, რომლებმაც დამსწრეთა მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს. თურქეთში მცხოვრებ მამა-შვილ გუნდარიძეების მუსიკალური შემოქმედება ძირითადად ქართულ ფოლკლორზეა აგებული

- ძალიან გახარებული ვარ, რომ მამასა და ჩემს დებთან ერთად ბათუმში ვიმყოფები. ბედნიერებაა, როცა შენს სისხლთან და ხორცთან, შენს ქართველებთან ასე ახლოს ხარ, ასე გისმენენ და გგულშემატკივრობენ. ყოველთვის, როცა ბათუმელ მსმენელთან ვმღერი, გამალებით მიცემს გული, სხვაგვარ ემოციას ვგრძნობ, მშობლიურს და ტკბილს, - გვითხრა დამლა შაჰინ გუნდარიძემ.

ბაიარ შაჰინმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ბედნიერია, რადგან იმ ხალხის წინაშე მღერის, ვისაც ზუსტად ესმის, რას გრძნობენ ჩვენებურები, როცა საკუთარი ქვეყნიდან შორს არიან.

- რა თქმა უნდა, ნებისმიერ სცენაზე გამოსვლა ემოციებს უკავშირდება, მაგრამ საქართველოში, ქართველი მსმენელისა და მაყურებლის წინაშე სიმღერა დღესასწაულია ჩემთვის, - აღნიშნა მომღერალმა.

ბაიარ შაჰინი ერთ-ერთი პირველია, ვინც თურქეთში ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია დაიწყო და მის განვითარებას შეუწყო ხელი, რასაც ახლა მისი გოგონები აგრძელებენ.

ნანა აბულაძე

გაიხსნა აკაკი ბერიძის სახელობის ვალეოლოგიური ცენტრი

მედიცინის დოქტორის, პროფესორის, ქირურგის და კიდევ არაერთი საპატიო სტატუსის მფლობელი აკაკი ბერიძის სახელი გასცდა არა მარტო აჭარის, საქართველოს ფარგლებსაც. იგი არაერთ მსოფლიო მნიშვნელობის ენციკლოპედიაშია შეტანილი როგორც თავისი დროის ერთ-ერთი უბადლო დასტაქარი, რაც მთავარია, როგორც ნოვატორი, არაერთი პროფესიული მიგნების ავტორი, რაც შთამომავლობას დაუტოვა და რის გამოც მისი სახელი დავიწყებას არასოდეს მიეცემა. სწორედ ამიტომ, ახლახან, სასტუმრო „აისის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ვალეოლოგიური ცენტრის წარდგინება, რომელსაც აკაკი ბერიძის სახელი ეწოდა.

ბატონ აკაკის, ბუნებრივია, ჰყავდა მიმდევართა, მოსწავლეთა და, რაც მთავარია, მადლიერ პაციენტთა დიდი ლაშქარი. სიცოცხლის ბოლო წლებში, ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი კვლავ მუშაობდა კონსულტანტად, გამოსცემდა წიგნებსა და სტატიებს, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. ბოლო ხანებში იგი სათავეში ჩაუდგა აჭარის ექიმთა ასოციაციას და ცხოვრების ჯანმრთელი წესის პოპულარიზაციის, მთელი რიგი დაავადებების პრევენციისა და პაციენტთა, პირველ რიგში, ექიმთა გამოჯანმრთელების მიზნით გეგმავდა ვალეოლოგიური ცენტრის დაარსებასაც. ამ იდეაზე იგი არაერთი წელი ფიქრობდა.

2004 წელს, ჯერ კიდევ ჯანდაცვის მინისტრად მუშაობის პერიოდში, ბატონმა აკაკიმ წიგნში „ჯანმრთელობა ყველასთვის“, გამოაქვეყნა წერილი „ფიქრები მედიცინაზე“, სადაც გამოხატა თავისი განცდები იმის შესახებ, რომ მედიცინა დიდი მიღწევების მიუხედავად, ვერ უმკლავდება ქრონიკული დაავადებების განკურნებას, ვერ ებრძვის მათ გამომწვევ მიზეზებს და შემოიფარგლება მხოლოდ ასეთი დაავადებების შედეგების, სიმპტომების შემსუბუქებით. აკაკი ბერიძე ხაზს უსვამდა, რომ ნაკლები ადგილი ეთმობოდა პრევენციასა და ნატურალური საშუალებებით მკურნალობას; ასევე, მოსახლეობის ნატურალურ ჰიგიენაში, ასევე სწორი კვების კულტურასა და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობაში გათვითცნობიერების საკითხებს. არადა, სწორედ ეს საკითხებია დღეს ძალიან მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემების ეპოქაში. მედიცინა ვითარდება, მაგრამ არაჯანმრთელ ადამიანთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ბატონი აკაკი სხვადასხვა სამედიცინო ფორუმზე არაერთხელ გამოვიდა სიტყვით ამ თემაზე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამოსვლის ჩანაწერი ნახეს აღნიშნული ვალეოლოგიური ცენტრის წარდგინებაზე შეკრებილებმა.

აკაკი ბერიძე თვლიდა, რომ საზოგადოების წევრებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა თავიანთი და მათი შვილების ჯანმრთელობაზე. ამას უნდა ემსახურებოდეს როგორც განათლების სისტემა, ისე ვალეოლოგიური ცენტრები, რომლებიც მიზანმიმართულად შეასრულებენ საგანმანათლებლო სამუშაოს მედიის ჩართულობით, გააცნობენ საზოგადოებას დღეისათვის არსებულ პროფილაქტიკისა და გაჯანსაღების ყველა ნატურალურ მეთოდს, საყოფაცხოვრებო გამაჯანსაღებელ მოწყობილობებს, ისეთ უახლეს ტექნოლოგიებს, როგორებიცაა დიაგნოსტიკისა გაჯანსაღების ბიორეზონანსული მეთოდები, ნანოტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ნატურალური ბიოდანამატების შესაქმნელად. ვინაიდან ბაზარი სავსეა უხარისხო პროდუქციით, ასეთ ცენტრებში რეკომენდაცია გაეწევა მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე პროდუქტებს, რომლებსაც ჩაუტარდათ კლინიკური კვლევები.

ვალეოლოგიური ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ ბათუმელი და თბილისელი მედიკოსები, მათ შორის პედიატრი ნანა ყავლაშვილი, ნუტრიციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საქართველოს დამსახურებული ექიმი მანანა ჭუმბურიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ეკატერინე სოხაძე და ბათუმის საზოგადოებრიობა. ცენტრის წარდგინებაზე შედგა ბიორეზონანსული დიაგნოსტიკისა და კაპილაროსკოპიის უახლესი მეთოდების დემონსტრირებაც. ასევე, წარმოადგინეს გაჯანსაღების საკითხებისადმი ვალეოლოგიური მიდგომების უპირატესობათა დამადასტურებელი ვრცელი მასალა.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ბერიძის სახელობის ვალეოლოგიური ცენტრის წარდგინებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის, რომლებმაც ერთსულოვნად გაიზიარეს ის თვალსაზრისი, რომ ვალეოლოგიური ცენტრების გახსნა ხელს შეუწყობს ერის გაჯანსაღებას.

დარგობრივ პროფკავშირს კვლავ დავით ოქიტაშვილი უხელმძღვანელებს

თბილისში, საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირის მე-11 ყრილობა ჩატარდა, რომელსაც გრიბოედოვის სახელობის თეატრმა უმასპინძლა

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება (თავმჯდომარე - ირაკლი პეტრიაშვილი), რომლის შემადგენლობაშიც ხელოვნებისა და მასმედიის პროფკავშირი შედის, 1992 წელს დაფუძნდა, ხოლო თავად ხელოვნების პროფკავშირი - 2005 წლებში. 20 წლის განმავლობაში კავშირმა არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი განახორციელა.

თანდათან დარგის სამოქმედო არეალი გაფართოვდა და მას ახალი მიმართულებები დაემატა: მასმედია, კულტსაგანმანათლებლო, სპორტი და ტურიზმი. 2007 წელს სახელოვნებო დაწესებულებების მასწავლებლებს ყველა ის შეღავათი მოეხსნათ, რაც პედაგოგებს აქვთ და რის აღდგენასაც ხელოვნებისა და მასმედიის პროფესიული კავშირი ითხოვს. მათ მიერ შეტანილ წინადადებას (მოთხოვნას) საქართველოს პარლამენტის შესაბამისი სამსახური უკვე იხილავს. სახელოვნებო დაწესებულებებში პროფესიული ანსამბლების ქორეოგრაფები ადრე 40 წლის შემდეგ გადიოდნენ პენსიაში, რაც წლებია, მოიხსნა. ეს საკითხიც დიდი ხანია სათანადო სამსახურების წინაშეა დაყენებული, ასევე, მსჯელობენ პროფესიული თეატრების მსახიობებისთვის ხელფასთან ერთად პენსიის გაცემაზეც - კულტურის დარგის ზოგიერთ სამსახურებს აღნიშნული პენსია ეძლევა, მსახიობებს - არა.

- კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანებმა 2005 წელს გადავწყვიტეთ, დაგვფუძნებინა ამავე დარგში დასაქმებულთა უფლებებისა და ინტერესების დამცველი საზოგადოება... 20 წელი სწრაფად გავიდა. ამ ხნის განმავლობაში იყო წარმატებები, სიხარულიცა და გულისტკივილიც. საქართველოს კულტურის პალატასთან ერთად, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. საქველმოქმედო ორგანიზაციების - „წითელი ჯვარი“ და „მომავლის გზა“ თანადგომით გამართულმა აქციებმა შვება არა მხოლოდ ლეიკემიითა და აუტიზმით დაავადებულ ბავშვებსა და მათ ოჯახებს, არამედ პროფკავშირის თითოეულ წევრს მისცა. საქართველოს კულტურის პალატის თანადგომით საკვები პროდუქტი არაერთხელ დაურიგდათ როგორც თბილისის, ისე რეგიონებში მცხოვრებ პროფკავშირის ხელმოკლე წევრებს. დღეს ისევ ამირჩიეს ამ თანამდებობაზე და შევეცდები, კვლავ განვაგრძო ადამიანების თანადგომა, - აღნიშნა დავით ოქიტაშვილმა.

დავით ოქიტაშვილს რამდენიმე ვიცეპრეზიდენტი ჰყავს, მათ შორისაა აჭარის ხელოვნების, მასმედიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა აჭარის პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი მანანა შარაშიძე.

„ჩვენი მიზანია, მეტი ახალგაზრდა და ახალი სახე ჩაერთოს პოლიტიკაში“

მე-4 გვერდიდან

- ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობაზე რას გვეტყვით?

- რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას, ამ ეტაპზე ვართ დამოუკიდებელი პოლიტიკური მოძრაობა, გვაქვს მიზნები და ამოცანები, თუმცა ვართ ერთიანობის მომხრე და თუ კონკრეტული გაერთიანება საერთო მიზნის გარშემო შეიქმნება, ბუნებრივია, ვიქნებით ასეთ გაერთიანებაში.

- გრძელვადიან პერსპექტივაში, აპირებთ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებას?

- ჯერჯერობით, ჩვენ არ გვაქვს მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის შესახებ, თუმცა არც არაფერია გამორიცხული. ეს დამოკიდებული იქნება პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ ვაცნობებთ საზოგადოებას. ბუნებრივია, როცა ვერთვებით პოლიტიკურ პროცესებში, გვაქვს პოლიტიკური საქმიანობის ყველა შესაძლებლობის გამოყენების ამბიცია.

- თუ ოპოზიციურ პარტიად ჩამოყალიბდებით, როგორ ფიქრობთ, რითი იქნებით განსხვავებული არსებული ოპოზიციური სპექტრისგან?

- როგორც ახლა, პოლიტიკური მოძრაობის ფარგლებში, ჩვენი მიზანი პარტიად რეგისტრაციის შემდგომაც იქნება მეტი ახალგაზრდა და ახალი სახე ჩაერთოს პოლიტიკაში, ვინაიდან საზოგადოებაში არსებობს ნარატივი, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა. გვსურს, სწორედ მათ დავუმტკიცოთ, რომ სინამდვილეში ასე არაა. შესაძლებელია ყველა საქმის სუფთად კეთება თუ გაიაზრებ პასუხისმგებლობებს და ანგარიშვალდებულებებს. გვინდა, პოლიტიკა ვაკეთოთ სუფთა ხელებით, გულწრფელად გავიაზროთ ადამიანების საჭიროებები, ვიყოთ მათი ხმა ყველა იმ ორგანოში, სადაც ვიქნებით წარმოდგენილი და ბუნებრივია, ყოველთვის ვესაუბროთ ჩვენს მოქალაქეებს, მივიდეთ ყველა იმ ადამიანთან, ვისაც სჭირდება და სურს ჩვენთან საუბარი.

- ახალი ძალის ჩართულობა რამდენად მნიშვნელოვანია დღევანდელ პოლიტიკაში?

- ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია. ჩვენც ამიტომ გადავწყვიტეთ, აქტიურად შემოვსულიყავით პოლიტიკაში, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყანაში ასეთი დაძაბულია ვითარება. რეალურად, საზოგადოება დაღლილია ერთ წრეზე ტრიალით, წარსულის შეხსენებით, კომპლექსებით. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ალტერნატიული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ გამოჩნდეს მეტი ახალი ძალა. დღეს საზოგადოების დაკვეთა პოლიტიკურ ველზე ცვლილებები, ერთიანობა და მეტი ახალი სახის შემოდინებაა.

- თქვენთან წევრების შერჩევა როგორ ხდება? მათ რა პრინციპები და ღირებულებები უნდა აერთიანებდეთ?

- „ახალგაზრდული ძალის“ კარი ღიაა ყველა იმ ახალგაზრდისთვის, ვისაც სურს ეს საქმე სუფთად აკეთოს, ემსახუროს სამშობლოს და ქართველ ხალხს. გვსურს, ერთად გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს უსაფრთხო ადგილი ყველა ადამიანისთვის, დაპირისპირებული მხარეები შერიგდნენ და აღარ არსებობდეს საზოგადოებაში ზიზღი. ასევე, ჩვენ ერთად უნდა წავიყვანოთ ეს ქვეყანა ევროპისკენ. მთავარია, გვქონდეს ღირებულებითი თანხვედრა და ერთად ვაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო.

- როგორ აპირებთ ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართვას და მათ წახალისებას?

- რეგიონებში დაწყებული გვაქვს შეხვედრები ახალგაზრდებთან, ვესაუბრებით, ვისმენთ მათ იდეებსა და ხედვას, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ბუნებრივია, ვპასუხობთ მათთვის საინტერესო კითხვებზეც. მომდევნო კვირებში დავიწყებთ აქტიურ მუშაობას სხვადასხვა პროექტის შექმნისთვის, რათა არსებობდეს უფრო მეტი შესაძლებლობა ამ ახალგაზრდებისთვის. ყველაფერი დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე, ამ საქმის განსხვავებულად კეთებაზე და არა იმ სახის პოლიტიკურ საქმიანობაზე, რომელსაც უკვე ამდენი წელია ვუყურებთ. დანარჩენი იქნება საზოგადოების გადასაწყვეტი. ვფიქრობთ, ახალგაზრდული მიდგომები და ახლებური ხედვა არის გარანტი იმისა, რომ ჩვენი გუნდის მხარდაჭერა უფრო გაიზრდება.

- როგორ ხედავთ საკუთარ როლს საქართველოს მომავალ პოლიტიკურ რუკაზე?

- გვაქვს მნიშვნელოვანი გეგმები, შესაბამისად, გვაქვს ამბიცია, რომ საქართველოს პოლიტიკურ რუკაზეც ღირსეული ადგილი გვქონდეს და ზუსტად ვიცი, ასე იქნება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მუდამ ვიყოთ ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების სამსახურში, ეს საქმე ვაკეთოთ სუფთად და გულწრფელად. შემიძლია ვუთხრა ყველას, რომ დავამტკიცებთ ჩვენს შესაძლებლობებს, რომელიც მალე გაიზომება შესაბამისი საშუალებებით.

თამარ ლამპარაძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჲჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/06/25, 17 ᵒᵒ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ლევან მოსიაშვილის ფუნჯით დაწერილი აღსარება და ფერებად გადაქცეული სიყვარული, ანუ სიყვარულის ახსნა ექსკლუზიურად - ჩვენი გაზეთიდან

უმზერ მის ნახატებს, უსმენ მის საუბარს და ხვდები, რომ ზოგჯერ ხელოვნება თავად ირჩევს ადამიანებს. იშვიათად შეიძლება მოიძებნოს ხელოვანი, რომელიც ასე ჰგავს საკუთარ შემოქმედებას, ასეთი გულწრფელობით აყალიბებს მოგონებებს ტილოზე, როგორც თვალსაჩინო ლოცვებს. მხატვარ ლევან მოსიაშვილის ფერწერა ერთდროულად რბილი და მძაფრია, როგორც გაუმხელელი სიყვარული... მის ტილოებზე აჭარული მზე ეფერება გულს, ზღვისფერი კი იმ ტკივილებს მალავს, რომლებსაც სიტყვები ვერ იტევს... ლევან მოსიაშვილი არის ხელოვანი, რომელიც ცხოვრების გადახუნებულ კადრებში არ დაიკარგა, იარაღის ნაცვლად ფუნჯი აიღო ხელში და მზისფერი ენერგეტიკით მისწვდა ადამიანთა გულებს. მისთვის ხელოვნება მხოლოდ ფერი არ არის, ის არის აღსარება, თვალსაწიერად გადაქცეული ემოცია. ის არ წერს ისტორიებს, ის ხატავს სიყვარულს, რომელიც უსასრულოა... მის მუზად ქცეულ ქალთან დიალოგი კი, ხმის გარეშე, მაგრამ საოცრად ხმამაღლა, დღემდე გრძელდება მის თითოეულ ნამუშევარში

მხატვრის სულიერ სიღრმეს და სიყვარულით გაჯერებულ შემოქმედებას აჭარის ხელოვნების მუზეუმის გალერეამ უმასპინძლა. „ბათუმური პაემანი“ - ასე ერქვა პერსონალურ გამოფენას, რომელმაც დამთვალიერებელთა აღფრთოვანება დაიმსახურა.

გაზეთ „აჭარის“ მკითხველი კიდევ უფრო მეტს გაიგებს ხელოვანზე, მისი სიყვარულის ისტორიაზე, რომლის მსგავსი, ალბათ, წიგნებში თუ წაგვიკითხავს მხოლოდ.

- როგორ შემოვიდა მხატვრობა თქვენს ცხოვრებაში?

- ყველაფერი შორეული 90-იანი წლებიდან, გაჭირვების პერიოდიდან დაიწყო. არამარტო ეკონომიკურ, სულიერ კრიზისსაც განვიცდიდით მაშინ. ახალგაზრდებს არ გვქონდა პერსპექტივა, არ გვქონდა სამუშაო. შემოთავაზება, რომელიმე ბანდდაჯგუფების წევრები გავმხდარიყავით და ავყიობით გვეცხოვრა, ბევრი იყო. ჩემი ბავშვობის არაერთი მეგობარი შეიწირა კიდეც ამ კონფლიქტებმა. მე გადავწყვიტე, იარაღის ნაცვლად ფუნჯი დამეჭირა ხელში. თვითნასწავლი მხატვარი გახლავართ. მართალია, ბავშვობიდან მქონდა მოთხოვნილება და ჩემთვის გრაფიკულ ნამუშევრებს ვქმნიდი, მაგრამ ფერწერაში 90-იანი წლებიდან დავიწყე მოღვაწეობა. პირველი ნამუშევრები ეძღვნება ჩემს პირველ შეყვარებულ მანანა ხარიტონაშვილს, რომელთან ერთადაც სტუდენტობისას ბათუმის ქუჩებში ვსეირნობდი, ეს ქალაქი იყო ჩვენი შეხვედრების მესაიდუმლე. სწორედ ის სითბო, აჭარის მზე აისახა ჩემს ნახატებში და სიყვარულებად გარდაისახა. მანანა ჩემი მარგარიტაა, ამას პირველად, ექსკლუზიურად, თქვენთან ვაუღერებ.

- ანუ მან აქამდე არ იცოდა, რომ თქვენი მუზა იყო? როგორ შეძელით ამ საიდუმლოს დღემდე შენახვა?

- ეს ხელოვნების მაგია გახლავთ, რომელსაც აქვს უნარი, ფესვები გაიდგას, გამრავლდეს. მხატვრობაში ჩემთვის პირველი ბიძგი სწორედ მანანასადმი სიყვარული გახლდათ, მისი პატივისცემა. იცით, ყველას თავისებურად უყვარს სამყარო, ადამიანები. ერთ-ერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა ნიცაში წლების წინ მკითხა: ბატონო ლევან, თქვენ სულ სიყვარულზე საუბრობთ, სულ ეფერებით თქვენს ტილოებს, რა ფერია სიყვარული? მე ვუპასუხე, რომ სიყვარული ყველა ფერია. ჩემთვის ყველა ლაჟვარდოვანი, ოპტიმისტური ფერი სიყვარულთან ასოცირდება, ჩემს პირველ მანანასთან. მასთან არ შემიქმნია ოჯახი, მოგვიანებით მოვიყვანე ცოლი, მაგრამ მანანა ჩემთვის დარჩა სიყვარულის სიმბოლოდ, როგორც დონ-კიხოტისთვის - დულსინეა.



- იცით როგორაა ის ახლა ან სად ცხოვრობს?

- ახლა აღარ ვიცი, კავშირი აღარ მაქვს.

- წარსულის გამეორება რომ შეგეძლოთ, ისევ ასე ჩუმი ხმაურით გეყვარებოდათ?

- ცხოვრებამ ბევრ არეალში გადამისროლა, ბევრგან ვცადე ბედი. ვარ რამდენიმე ასოციაციის თანადამფუძნებელი, განსაკუთრებით - ქართულ-ფრანგული ასოციაციების, რომლებიც კულტურულ ურთიერთობებს ეხება, მაგრამ ის უმთავრესი, რაც ბავშვური სიყვარულია - განუმეორებელია. რომ მკითხონ, ვის შეიყვარებდი და რა ხელობას დაიწყებდი თავიდანო, მე ისევ შეყვარებული მხატვარი ლევან მოსიაშვილი ვიქნებოდი ფუნჯებით, რომელიც თავის მანანას ხატავს.

- მნიშვნელოვანია თქვენი შემოქმედების ეტაპები, თემატიკა... რა ლაიტმოტივი გასდევს მათ?

- წარმატების უმთავრესი ფორმულა თუ ცხოვრების საიდუმლო, ადამიანურ ურთიერთობებშია. მქონდა და მაქვს მხატვრობის სხვადასხვა პერიოდი. მაგალითად, ძველი თბილისის ხატვის პერიოდი, ანიმალისტური, მოდერნისტული, აბსტრაქციის პერიოდი და დღემდე ვაგრძელებ ძიებას, მაგრამ ლაიტმოტივი, ძირითადად, ურთიერთობები იყო. მას ვანიჭებ უპირატესობას, რადგან თუ რაიმეს ვაღწევთ, ეს არის ურთიერთობების შედეგი. ქალისა და კაცის ამოუხსნელ ურთიერთობას გაუმარჯოს ჩემს შემოქმედებაში.

- რას ნიშნავს ბათუმი თქვენთვის?

- საქართველოში როცა ვიმყოფები, ვცდილობ, რამდენიმე დღით მაინც ვესტუმრო ბათუმს, დავიმუხტო ენერგიით. მაგნეტიტიო, ქვიშაო, ზღვაო... არა, ხალხო, მთელი საიდუმლო თქვენშია. აჭარულ სულში, სტუმართმოყვარეობაში. მე ბოლომდე ვერ ამოვხსენი, რა გვიზიდავს, ალბათ, თქვენ აჭარულ მზეს გულებში ატარებთ და ეს მზე გარდაიქმნება ნარინჯისფერებად, ფორთოხლისფერებად. ჩემს ნახატებში ბათუმი რჩება ისტორიად, როგორც მუდამ შეყვარებული ლევან მოსიაშვილის ნავსაყუდელი.

- რა განცდაა, როცა თქვენი უამრავი ნამუშევარი საზღვარგარეთ, კერძო კოლექციებში ინახება? რას გრძნობთ, როცა თქვენი ნახატები თქვენგან მოშორებით აგრძელებენ სიცოცხლეს?

- ძალიან რთულია, იგივე განცდაა, შვილი რომ გაატანო ვინმეს და მთელი სული გააყოლო თან, მაგრამ, ამავდროულად, მეამაყება, რომ ქართული კულტურის ნაწილი ვარ და ჩემი ნახატები ჩემს ქვეყანაზე, კულტურაზე, ხელოვნებასა და პირადად ჩემზე ჰყვებიან უამრავ ამბავს. ჩემი ნახატების დათვალიერებისა თუ შეძენის შემდეგ არაერთხელ უთხოვიათ, რომ ლექცია ჩავატარო საქართველოს ისტორიაზე, რასაც დიდი სიამოვნებით და სიამაყით ვაკეთებ. უამრავი ფრანგი წყვილი დავაქორწინე საქართველოში, ნათლიაც ვარ ბევრი მათგანის. ისინი ჯერ ჩემი ფერწერით იწყებენ საქართველოს შეყვარებას და ეს მეამაყება. ხშირად ვიმეორებ, ნამდვილ ხელოვნებაში, ფერწერაში დიდი მაგიაა ჩადებული, რომელსაც ადამიანზე უდიდესი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია. მე ჩემი დამოკიდებულება და პატივისცემა მაქვს ღმერთის, ხატწერის მიმართ. ჩემთვის ღმერთები პერსონაჟები არიან, უბრალო ადამიანები. მიმაჩნია, რომ უბრალოება და სისადავეა ზუსტად რელიგია. ვცდილობ, ყოველთვის უბრალო ენით ვისაუბრო...

- მაინც, რა არის ქართული სული, ხასიათი, გაცნობის შემდეგ ყველასთვის ახლობელი და საყვარელი რომ ხდება?

- საკუთარი თავის თამამად წარმოჩენა შეუძლია ქართველს. თავის თავზე მოყოლა მეტი სიწმინდით, სისადავით, რადგანაც მას დიდი ფესვები აქვს. უამრავი ერი გადაშენებულა, მაგრამ არ დაუტოვებია არც დიდი ხელოვანები, არც დიდი მწერლები და მუსიკოსები. საქართველოს დიდი გზა აქვს გავლილი და ასე მგონია, ჩვენს სისხლში, ფესვებში, ჩვენს ტრადიციებშია ის მაგია, რაც ასე იზიდავს ყველას. ამიტომ მინდა, ყოველთვის დავრჩეთ ქართველები ისეთები, როგორებიც ვართ, ანუ საინტერესოები.

- როგორ ფიქრობთ, ქართულ ხელოვნებაში დღეს არის საკმარისი თავისუფლება?

- უდავოდ არის. ჩვენ არ გვქონდა ეს, მაგრამ დღეს აქვთ ახალგაზრდებს საშუალება, გაეცნონ ახალს, განვითარდნენ. ოღონდ, ვისურვებ, რომ მიღებული გამოცდილება და ნიჭი საქართველოს მოახმარონ. პროგრესი არის ურთიერთობებში, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში და ერთმანეთის დანახვაში. ძალიან მზარავს, როცა ვხვდები ემიგრანტებს, რომლებსაც სურვილი აღარ აქვთ ჩვენკენ მოხედვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, ვისი გორისანი ვართ. ეს არის ჩემი ცხოვრების კრედოც. მივდივარ ქვეყნიდან, მაგრამ ისევ ვბრუნდები, როგორც მერცხლები ბრუნდებიან გაზაფხულზე.

- იშვიათია, შემოქმედება ასე ჰგავდეს შემოქმედს, როგორც თქვენს შემთხვევაშია.

- დიდი მადლობა. იცით, ცნობილმა ფრანგმა ადვოკატმა ჟერარდ ჟერმანიმ, რომელსაც ჩემი სხვადასხვა პერიოდის 500-ზე მეტი ნამუშევარი აქვს შეძენილი, მითხრა: ლევან, მე შენგან მხოლოდ ტილო კი არ მიმაქვს, ასევე მიმაქვს შენი ისტორია, შენი ემოციები და ვუფრთხილდები, რადგან შენ და შენი შემოქმედება ერთი მთლიანი ხართო.

- როგორია ქართველი დამთვალიერებელი?

- ძალიან სკეპტიკური, კრიტიკული, ძალიან სწორი, რომელთანაც პოლემიკა ძალიან სასიამოვნოა. ყოველთვის მაინტერესებს კრიტიკა. თუ ადამიანი იზრდები პროფესიულად, პიროვნულად, ეს მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკის შედეგად. ქართველი დამთვალიერებელი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია.

- მაინც, რა არის ცხოვრება?

- სიყვარული.

- თუნდაც ისეთი სიყვარული, როგორიც თქვენ გაქვთ?

- იცით, რა, დაფარული, მიღმიერი, მიუწვდომელი უფრო გიზიდავს.

- შეიძლებოდა მისაწვდომი ყოფილიყო?

- მაშინ მე მხატვარი არ ვიქნებოდი.

- ახლა, როცა ინტერვიუს ვიწერთ, სწორედ იმ ადამიანის ნახატთან ვდგავართ, ვისაც ჩვენი გაზეთით გამოუტყდით, რომ მთელი სერია მიუძღვენით მხატვრობაში. ახლა, იგი ჩვენ წინ რეალურად რომ იდგეს, რას ეტყოდით?

- ისევ მიყვარხარ, მანანა, ისევ იმ ჭაობში ვიხარშები, რასაც სიყვარული და ხელოვნება ჰქვია, ისევ იქ ვლოცულობ, სადაც ოდესღაც ერთად დავდიოდით. დღეს ეს ფერწერები შენც გეკუთვნის, რადგანაც გავთქვი საიდუმლო და ახლა უკვე ყველამ იცის იმ სიყვარულის შესახებ, რომლითაც დღემდე მიყვარხარ. მან არ იცის, რომ ამდენად გავშალე ფრთები, არ იცის, რომ ფერწერაში გამოვხატე, ფერებად გადავაქციე ეს გრძნობა.

ნანა აბულაძე